

# გონების ზღვარზე

## აზრები

ნია გორდელი

ISBN-978-9941-471-60-5

ნია გორდელი

# გონების ზღვარზე

სიცოცხლის სული მცირე ზოლში, უფალმა მთელი თავისი შესაძლებლობების კონცენტრაცია მოახდინა; ამ დიდი ასახვის სარკული ასახვა ადამიანის ცნობიერებაში გადაიტანა, როგორც მარადიული მჭვრეტელობა უფლის დიადი საოცრებისა.

ქუთაისი
2021

კორექტორები: თამარ კერძაია, ნინო კერძაია

დიზაინერ-დამკაბადონებელი: მარი ლექვინაძე

ISBN 978-9941-471-60-5



ვერ გავუსწორე მზერა სინათლეს,
ვერ შევაფასე უფლის გენია,
მეზღუნდოვანა კაცის სიმართლე,
ვერ ვთქვი ბოლომდე, რაც სათქმელია.

ნ. [illegible]

# სარჩევი

ავტორისაგან ........ 7

ადამიანი, ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი ........ 9

ადამიანი როგორც ფენომენი – ფსიქიკა,
ცნობიერება, აზროვნება ........ 27

ადამიანი და ბუნება ........ 41

რწმენა და რელიგია ........ 45

მეცნიერება და ტექნოლოგიები ........ 58

პოლიტიკა ........ 64

საზოგადოებრივი სტრუქტურა და საზოგადოებრივი
აზროვნება ........ 67

ხელოვნება და ინტელექტუალური მოღვაწეობა ........ 73

კულტურა, ერი, ტრადიცია ........ 79

აღზრდა ........ 82

ახალგაზრდობა ........ 86

დრო, მოდა, თანამედროვეობა ........ 88

გრძნობა და ემოცია ........ 91

თავისუფლება ........ 93

თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა ........ 95

ინტუიცია და ბედისწერა ........ 97

მშვენიერება, სილამაზე, სიყვარული, ბედნიერება ............ 99

სიბრძნე, ფილოსოფია, ლოგიკა ............ 101

სიკეთე, ქველმოქმედება, სათნოება ............ 105

იდეა და იდეოლოგია ............ 107

ქალი და მამაკაცი ............ 110

სივრცის შევსების ფენომენი ბიზნესში და აზროვნებაში ............ 114

ჩაკეტილი (შელახული) სიცოცხლე – ბიოლოგიური და სოციალური ასახვის კრიზისი ............ 116

ძალა, სიმართლე, სამართლიანობა ............ 123

ჭეშმარიტება ............ 125

შეხვედრები საკუთარ თავთან ............ 126

აგრესია, შური, ბრალი ............ 131

მითი, მითოლოგია ............ 136

სხვადასხვა ............ 138

# ავტორისაგან

წიგნი ადრე გამოცემული აზრების კრებულის – „თვალთახილვის“ გაგრძელებაა და იგივე სულისკვეთებით და პათოსითაა გამსჭვალული. ამ ნაწარმოების მიზანი გაადამიანურებისკენ სწრაფვაა, ამასთან, დღევანდელ ცივ სამყაროში, ერთმანეთის უნდობლობით გაქვავებულ-გაყინული გულების გასალღობად, სითბოს ადგილის ძებნა და მოპოვების მცდელობაა; ცხოვრებაზე და საზოგადოებაზე წარმოდგენადაკარგული ადამიანებისათვის, სადღაც-სადღაც, სასიცოცხლო კუნძულების არსებობის დაშვებით და აღმოჩენით, იმედის ნაპერწკალია, რათა თავიანთი დანიშნულება გაამართლონ და ცხოვრება გააგრძელონ...

ბუნებრივია, სუბიექტურ აზრებში ბევრი რამ შეიძლება იყოს საეჭვო, სადავო და საკამათო. ამ ნაწარმოებში ცივი გონებით შექმნილ აზრებს ხშირად ენაცვლება სიყვარულის, სიმშვიდის, ორგანულობის, მშვენიერების, სიცოცხლის შემცველ-შემავსებელი და წამახალისებელი – ქალური ინტუიციით ნაკარნახევი შეხედულებები.

ეს წიგნი მიზნად არ ისახავს, თავისი შეხედულებები მოახვიოს მკითხველს. მიზანი ამ შემთხვევაში არის ყველაზე მეტად საჭირბოროტო საკითხებით საზოგადოების დაინტერესება – მსჯელობა ამ საკითხებზე. არ ვთვლი, რომ ეს არის დემაგოგიური ნაწარმოები, არამედ აქ არის გამაჯანსაღებელ-გამაფრთხილებელი – წამახალისებელი მსჯელობები, რომელიც, საბოლოოდ, ადამიანის საღ პიროვნებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

განსხვავებული აზრი და ადამიანთა განსხვავებულობა აუცილებ-

ლად მიმაჩნია: „თუ უფალი აფრთხილებს და ადამიანები არ ისმენენ, „არშესმენის“ ადგილი ყოფილა, თუ ის ეძებს რჩეულებს, მაშასადამე, „რჩეულების“ ადგილიც ყოფილა“.

უფალი ყოველთვის გვიტოვებს განსხვავებული აზროვნების სივრცეს და, რაც მთავარია, გვაძლევს იმედს, რომელსაც სასოწარკვეთის გარეშე ვაგროვებ. ჩვენს ირგვლივ არსებული თვალხილული სამყარო არ გვაძლევს მოწყენისა და უიმედობის საშუალებას: წამის უმცირეს ნაწილშიც კი, თუ წარმოიდგენ, შენს ირგვლივ ტრიალებს დაუსაბამო სამყარო თავისი გალაქტიკებით; იცი, რომ ეს სამყარო შენს მიერ აღქმული ფერებით იმზირება; ყველა ცოცხალი და არაცოცხალი გააზრებულია შენს მიერ; სამყარო ამეტყველებულია შენს ფიქრებში, წარმოსახვებში; ალაგებ, ახარისხებ შენი შეხედულებისამებრ; გრძნობითი და ემოციური ორგანოებით მთლიანად შერწყმული ხარ მასთან, – რწმუნდები, რომ მისი განუყოფელი ნაწილი ხარ. შენ, – ურიცხვი ვარსკვლავებიდან ერთ-ერთს, შანსი მოგეცა, გამოანათო – გამოაბრწყინო; გაქვს პერსპექტივა, ზნეამაღლებული განცდა-განწყობილებით შეაბიჯო დაუსაბამობაში, შეერწყა მის უნივერსალურობას, შეუერთდე უფლის დაუსრულებელ სიყვარულს... ამის შეგრძნება-შეცნობის შემდეგ, უფლება არა გაქვს იტირო, მწუხარებას მიეცე – ბრალი აღძრა უფლისა და ადამიანების წინაშე.

# ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი

***

სინამდვილეს თვალებში გამუდმებულად უნდა უცქირო, რათა თვალი არ გაგექცეს არარეალურისკენ...

***

ადამიანის საქმე და ნააზრევი, კონკრეტულ დროში, ცალმხრივი აზროვნების და შესაბამისი განზოგადებების შედეგია, მაშინ, როდესაც ბუნების ნაირსახეობა, თავისი აზროვნებით და განზოგადებით, სრულმომცველობითი განზოგადებაა, რაც უფლის აზროვნებასთან უფრო ახლოა.

***

ადამიანი ყოველთვის თავისი სხეულის ირგვლივ ტრიალებს... ეს „სხეული“ შეიძლება გიგანტური ზომებისაც კი იყოს...

***

იცოდეთ, ამ სასტიკ რეალობაში სუსტი და ავადმყოფი არავის სჭირდება; ნაკლები ისაუბრეთ თქვენს ავადმყოფობაზე და ეცადეთ გამოიყურებოდეთ უფრო მხნედ, შეუვალად და ძლიერად, ვიდრე ხართ, – თუ გინდათ, ვინმემ თქვენი არსებობა გაითვალისწინოს...

***

მომავალ გეგმებზე გამუდმებული საუბარი თქვენი პიროვნების სერიოზულობაზე ეჭვს ბადებს... ეცადეთ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე დადოთ შედეგი, თუნდაც უმნიშვნელო!..

***

ადამიანებს, თავისდასასიკეთოდ, ესაჭიროებათ ერთიდაიგივეს ჩიჩინი და, ბევრჯერ, მაინც, არაფერი გამოდის აქედან.

***

ადამიანმა თამამად რომ გამოთქვას თავისი მოსაზრებები, ამისათვის საჭიროა ბევრ მოსაზრებას გაეცნოს, გონებაში შედარების მექანიზმი უნდა ამუშავდეს, რომლის გარეშე ძნელია, დაადგინო, რა არის საჭირო და რა არა, რა არის გენიალური და რა არა...

***

ნიჭი „ენა-მწარმოებლობისა“ არ არის პირდაპირპროპორციული გონება-მწარმოებლობისა...

***

ჩვენი ცხოვრება – ჩვენი გეგმებია.

***

ჩვენი წარმოდგენები სხვადასხვა საკითხზე ერთმანეთს ავსებენ, სხვანაირად ყოფიერებაზე სრულ სურათს ვერ მივიღებთ.

***

რა გირჩევნია – უზნეო, ბოროტი ადამიანები არ არსებობდნენ, არსებობდნენ და გებრალებოდეს, თუ, მაინცდამაინც, არსებობდნენ – გძულდეს და მტრებად გეგულებოდეს ისინი?..

***

ადამიანს არ აქვს ხანგრძლივი ცხოვრება – იყოს მეამბოხე, გმირი, შემოთავაზებული წესრიგის დამშლელ-დამამხობელი, თავისი შეხედულებისამებრ მისი ხელახლა ამწყობ-გამრიგებელი, ამიტომ ის, უპირველესად, კონფორმისტია (შეგუება ხომ გადარჩენის საშუალება და კანონია)... თუმცა კონფორმიზმი მარტო ამ მიზეზით არ აიხსნება. ის უფრო ზოგადი კანონებით და სხვა ფენომენებით ახსნას საჭიროებს...

***

დღევანდელი ადამიანი ტექნოლოგიების პირმშოა, მთლიანად მიეჯაჭვა და გახდა „საშიშად" დამოკიდებული მასზე... მისგან მოწყვეტა არარაობად ხდის მას...

დროა, ადამიანმა ეჭვი შეიტანოს ამ პირობით მოწესრიგებულობაში, სასწრაფო წესით დაადგინოს, რა ელოდება თაობებს ვირტუალური ცხოვრების წესისაგან, – არის ეს განვითარება-წინსვლა-პროგრესი თუ გარდაუვალი რეგრესია.

***

...როდესაც წყალი გადაასწორებს დედამიწას... ქარი ინავარდებს ტალღებს ზემოთ, წაიშლება კაცობრიული აზროვნების

კვალი, დაიკეცება ფრთები ანგელოზისა – უფალი შეისვენებს ჩვენს გამო... დარჩება „ის“ და დანარჩენი სამყარო ჩვენს გარეშე... წყალთა ზემოთ დაიძვრება მარადიული ჰანგები, – მელოდია ტრაგიკული დასასრულისა... ამ მელოდიაში, დროდადრო, სოლო ხმად აღიძვრება კითხვა ადამიანისა: შეგვწევდა თუ არა ძალა, შეგვენარჩუნებინა ჩვენი არსებობა, თუ, ჩვენი „მოღვაწეობა“ იყო კანონზომიერი სვლა დასასრულისაკენ...

***

იმის გარდა, რაც ისწავლა და გამოცდილებით მიიღო ადამიანმა, კიდევ „რაღაც“ იცის, მაგრამ არ იცის, როგორ თქვას და გამოხატოს ის...

***

მთავარი ის კი არ არის, რას იტყვი, არამედ, რას გააკეთებ ადამიანებისთვის.

***

როცა შენს სათქმელს სხვა ამბობს – შეგრცხვეს!..

***

როცა ახლობლები გულწრფელად გაღიარებენ, შენი სჯერათ და მეტს მოელიან – ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რომელიც მუდმივ ტონუსში ყოფნას და დიდ ძალისხმევას მოითხოვს შენგან.

***

დღე გითენდებოდეს, მზე დაგნათოდეს, ყანაში მარცვალი გიმწიფდებოდეს და ამ დროს კაცის მოსაკლავად ან მოსაპარად მიდიოდე – ეს წყევლაა...

***

დროის უსასრულობაში მსრბოლმა ადამიანმა თავის თავში მოძებნა მიზანი – გაადამიანურებისა...

***

შენ ვინ ხარ – ვინც არსებულ სინამდვილეს ეწინააღმდეგები, ებრძვი, ეჭიდები, თუ ვინც შემოთავაზებულ წესრიგს ეგუები?..

***

მძიმე სოციალური და სულიერი კრიზისის ფონზე ამ სამყაროს მშვენიერი ფერები  თანდათან უფერულდება....

***

ამ სამყაროს იმ სახით დანახვა და შეგრძნება, როგორიც უფალმა შექმნა, ადამიანისთვის, თითქმის, შეუძლებელია.

***

ამ ბოლო დროს, ადამიანის გონება წარიტაცა აზროვნებისა და არსებობისათვის არაარსებითმა საგნებმა და მოვლენებმა...

***

თუ წინათ, შესაძლოა, არსებობდა ადამიანის ბედნიერების დეკორატიული მოდელი, დღეს მასზე წარმოდგენა გამქრალია.

ბუნებით, ადამიანს აქვს სწორი რეფლექსია, ის აღიქვამს შეზღუდულ სამყაროს, რომელიც მისთვის თანდათან ვიწროვდება... ჩაკეტილი სივრცე ხუთავს, ახრჩობს – გასაქანს არ აძლევს, – არ უტოვებს პერსპექტივას თავი დაიძვრინოს ამ მდგომარეობიდან...

***

ზოგჯერ, ბედისწერულად ვუკავშირდებით და გაუცნობიერებლად მივყვებით ავანტიურისტ ლიდერებს; გენიოსებად ვაღიარებთ მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, საზოგადო მოღვაწეებს, რომელთა აზროვნებას, იდეებს, საქმეს მოჰყვა გამოუსწორებელი შედეგები – ნგრევა, მსხვერპლი, გადაგვარება, დეპრესია – რეგრესია; გასაკვირია, ამ პიროვნებების ჩრდილში ვაყენებთ უდიდესი ჰუმანური იდეების – მშვიდობისმყოფელ პიროვნებებს, მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს; ისინი, თითქოს არ დაბადებულან და არ უცხოვრიათ...

***

ჭექა-ქუხილის შემდეგ გამოდარებას უნდა ველოდოთ, ხოლო უღრუბლო ცაზე მოულოდნელად ღრუბლების გამოჩენისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

***

ხარბი ადამიანი – ოღონდაც სხვამ არ გაიხაროს – მისთვის და „მტრისთვის“ საზიანო საქმეს ჩადის და საკუთარ თვალებს ითხრის...

***

ყველა ჩვენი მსჯელობა საგნისა და მოვლენის შესახებ, არის ცალმხრივი, სუბიექტური, პიროვნულ-მიკერძოებითი, არასრულმომცველობითი...

***

ადამიანი მხოლოდ ზომიერების კაფსულაში მყოფი შეასრულებს თავის ადამიანურ მისიას და დანიშნულებას..

***

დღევანდელმა ყოფამ, ხვალ, შეიძლება ახალი მიდგომები წარმოშვას... თანამედროვე ადამიანმა უნდა გაიაზროს, რომ მისი შეხედულებები ბევრ საკითხზე შესაძლოა დაიმსხვრეს. დადგება დრო, ნაძალადევად არავინ მოახვევს სხვას იდეებს, შეხედულებებს. ადამიანი აზროვნებაში, გადაწყვეტილებაში, არჩევანში იქნება სრულიად თავისუფალი...

***

ფანტაზიები, რომელთაც „ბედნიერი ცხოვრება“ წარმოშობს, სასარგებლო არაა; ბევრჯერ, მაცდუნებელ-დამღუპველიცაა. მხოლოდ ტკივილიანი ცხოვრება გვაძლევს საშუალებას, შევქმნათ აზროვნების შედევრები, ხოლო, თუ ვის როგორ ტკივა – ეს ძალზედ ინდივიდუალურია.

***

მეგობრის ღალატი ჟანგის წვეთია, რომელიც გულს ისე ამოჭამს, მას ვერ ამრთელებს ვერც დრო და ვერც შერიგება...

***

ზოგიერთს!!! – იმდენი კი იცოცხლე, რომ რამე გესწავლა!..

***

ადამიანი მანამ ქმნის მითებს, აფართოებს წარმოდგენებს, სანამ მისთვის სიცოცხლე მისაღებია და მას ებღაუჭება, ხოლო იმ დროიდან, როცა მისი სასიცოცხლო ტენდენციების განმახორციელებელი სისტემები იმდენად დაბლოკილია, რომ ფანტაზიის ადგილი არ რჩება, მოქმედებას იწყებს თვითგანადგურების სისტემა-ინსტინქტები.

***

თუ შენი ყვავილი ლამაზად გაიშალა, სიბინძურეში ნუ ჩაკარგავ...

***

მახინჯ სარკეში, თვით კეთილშობილიც - მახინჯ გამოსახულებას შესცქერის...

***

დიდ თავს, დიდი პრობლემები აქვს.

***

ის დღეა ცუდი, როცა არ იცი, რას აკეთებ.

***

ყოველთვის ელი „ვიღაცას“ და გაინტერესებს „ვინ“ არის იგი...

***

ერთ დღეს მოიცალე და შეხვდი საკუთარ თავს, მაგრამ... ჯერ იპოვე იგი.

***

პიროვნების, მოვლენის, შეხედულებათა შეფასებისას; რომელიმე საკითხზე აზრის აღიარებისას, ადამიანი იძულებულია დაეთანხმოს სხვათა აზრს შემდეგი მიზეზით:

1. თავისი აზრის უქონლობის ან ჩამოუყალიბებლობისას
2. ხათრით – სხვათა აზრის თანამონაწილედ წარმოჩენისას (ავტორიტეტების ზეგავლენით)
3. გაუბედაობით - არ აღმოჩნდეს გამონაკლისი (თეთრი ყვავი)
4. შიშით - არ დასწამონ უცოდინრობა- არაკომპეტენტურობა.

ეს ჩამონათვალი საკმაოდ ბევრია იმისთვის, რათა ადამიანი სხვათა უგნური აზრის, სურვილების, გეგმების ან ავანტურის გაუცნობიერებელი მონაწილე-მსხვერპლი გახდეს...

***

ცხოვრებამ კი არ უნდა გაგიტანოს, ცხოვრება უნდა გაიტანო...

***

შეუძლებელია, ცხოვრობდე ეპოქაში და მისი სულისკვეთებით (პრობლემებით) არ იყო გამსჭვალული.

***

დღეს, დაისმის კითხვა: რას ვჭამთ, რა გარემოში ვიმყოფებით, რით გვასხივებენ, ზემოქმედებენ, გვაზომბირებენ, – რას

გვაჩეჩებენ ხელში... ეს ნიშნავს, რომ ადამიანებმაირგვლივ მიმოიხედეს, გამოფხიზლება დაიწყეს – ეს კარგია... რაღაცას რომ მოიკითხავ, მისი მოძებნაც მოგიწევს, – დასმულ შეკითხვაზე, ადრე თუ გვიან, პასუხს მიიღებ და პრობლემების გადაჭრის გზებზეც იზრუნებ.

***

ზოგი ადამიანი რომ მიუშვა, – ქვეყნიერებას გადაყლაპავს...

***

სიტყვიერმა რახარუხმა ადამიანის აზროვნებაში ვერაფერი შეცვალა...

***

ადამიანი მარადიულობის შეგრძნება-შეგნებით უნდა იზრდებოდეს, იფურჩქნებოდეს, ყვაოდეს, მოღვაწეობდეს, თაობებში ტოვებდეს კვალს, რომ მან ნამდვილად ადამიანურად იცხოვრა, ხოლო ამ სამყაროდან თანდათანობით გარდასვლა-გარდასახვებით გასვლისას, შთაბეჭდილებას – რომ ის ჭეშმარიტად აღესრულა.

***

ზოგჯერ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ფენომენებს და მოვლენებს ადამიანთა ჯგუფები, პოლიტიკოსები, ხელოვანები, ფილოსოფოსები, ლიტერატორთა წარმომადგენლები დიდი რიტუალებით, გაზვიადება-გაბუმბერაზებით (უტრირება-ამპლიფიკაციით) თავიანთ მიმდინარეობად გადააქცევენ

და წარმოადგენენ. ამ მიმდინარეობას ინარჩუნებენ, იცავენ და ებღაუჭებიან მანამ, ვიდრე ახალი თაობა ზეაღტკინებული მდგომარეობიდან კარგი სილის გარტყმით ან სრულიად უცერემონიოდ არ ჩამოართმევს წლობით გამოზომილ საარსებო-საცხოვრებო მასალას...

***

თავისი ნამოქმედარის აწონ-დაწონისას და თავის თავთან ჭიდილში ყველა ადამიანში იღვიძებს სინდისი.

***

ადამიანური მორალი საუკუნეებია ღვივის და ღვივის – არ ჩამქრალა და არც ჩაქრება.

***

ამ ცხოვრებაში არამარტო იმისათვის ვართ მოსული, რომ ჩვენ-ჩვენი საჭვრეტიდან ვიცქიროთ, არამედ, ზოგიერთი რამ შევცვალოთ და გადავაკეთოთ.

***

როდესაც ჰომოსექსუალური წყვილების „ბავშვები“ გამოჩნდებიან არენაზე, ისინი, საუბედუროდ, საზოგადოების ნეგატიური რეაქციების მსხვერპლად გადაიქცევიან და ისედაც დასაღუპად განწირული კასტის გაქრობის წინაპირობად იქცევიან...

***

საუბედუროდ, ზოგიერთ ადამიანს, მის მიერ მეორე ადამიანის გამოყენებას და ჩაგვრას „კვების ინსტინქტები“ კარნახობს...

***

გამუდმებულად მზამზარეულის მიღების სურვილი ადამიანს ამორალურს ხდის...

***

ხელაღებით რაიმეს მტკიცება ან უარყოფა დოგმატიზმის, ფუნდამენტალიზმის განვითარების წინაპირობას და საშიშროებას წარმოადგენს.

***

მართო ადამიანები – ურთულესი პრობლემაა, მართო „ავადმყოფები" – აზრდაკარგულია...

***

მტრის ხატის თანხლება ადამიანს აგულიანებს, ბრძოლის უნარს უყალიბებს – „სტიმულატორის" როლს თამაშობს...

***

ახალ ცხოვრებას შეხვდი გახარებული და გალაღებული. ნუ ეცდები უკან დაბრუნებას, მით უფრო, არ ეცადო გაიმეორო განვლილი ცხოვრების ურთიერთობები ან რომელიმე ეპიზოდი. ის არასდროს იქნება ისეთი, როგორც წინათ და საკმაოდ იმედგაცრუებული დარჩები.

***

თუ სასახლე მოგინდება ან დამოუკიდებელი ცხოვრება, შექმენი შენ თვითონ, თორემ იმ სასახლეს და იმ ცხოვრებას, რო-

მელსაც სხვისგან მზამზარეულად მიიღებ, არც ხიბლი ექნება და არც მადლი.

***

ფიქრი – რასაც მინდა იმას დავწერ, იმას ვიტყვი, როგორც მინდა ისე მოვიქცევი  ან ვიცხოვრებ და მაინც გამივათ – ეს შეცდომაა.

***

დაფიქრდი: ყოველთვის შენ არ ხარ მართალი...

***

არ დაზოგო ძალა და ენერგია, რათა განსაზღვრო და იპოვო შენი ადგილი ცხოვრებაში.

***

ადამიანებთან ზედმეტი სიახლოვე, ზედმეტი საუბარი, ასევე ზედმეტი ბჭობა საჭირო არ არის.

***

მაქსიმალურად აამუშავე წარმოსახვები, რათა კარგად წარმოიდგინო, ვინ იყავი, საიდან მოდიხარ, ვინ ხარ აწმყოში და ვინ იქნები მომავალში.

***

შეამცირე წყენადობა...

***

უკიდურესობებს უიღბლობა თან სდევს და მარცხისთვის ან, სულაც, დასაღუპავად ამზადებს ადამიანს.

***

როდესაც ადამიანს რჩევები მხოლოდ სხვებისთვის აქვს გამზადებული – ეს თვითდაჯერებულობა არაა. იგი სიბრიყვეზე მეტყველებს.

***

იმის დემონსტრირება, რომ ნიჭიერი ხარ, მაგრამ ზარმაცი – შეგიძლია, მაგრამ არ გსურს, სიგლახის ნიშანია.

***

ზოგიერთ ადამიანს მხოლოდ სიტყვა „არა“ აქვს პირზე მიკერებული, – ამ სიტყვით იწყებენ და ამ სიტყვით ამთავრებენ. თუ კარგზე კარგს ამბობ არ მოწონს; თუ ცუდზე ცუდს - არ გეთანხმება. ასეთი ადამიანები მსჯელობის დროსაც იგივე მეთოდს იყენებენ: თუ ერთ აზრს იტყვი შეგეწინააღმდეგება, ასევე შეგეწინააღმდეგებოდა, ამ აზრის საწინააღმდეგო რომ გეთქვა. „არას“ სტიქია მათ ცხოვრებას განსაკუთრებულ დაღს ასვამს, რომელიც მუდამ მოუწესრიგებელი აქვთ, ურთიერთობები კი – დაულაგებელი.

***

თუკი საკუთარს არაფერს ქმნი, დამოუკიდებელი აზრი არ გაგაჩნია და სხვათა სიტყვას გაუკონტროლებლად, ანდა, გამორჩენის მიზნით ახმიანებ, მაშინ უღირსი და უგანაჩენო ადამიანი ხარ.

***

თავის თანატოლებთან შეხვედრა ადამიანს იმდაგვარად აღაფრთოვანებს, რომ უპრობლემოდ გადაისვრის ბავშვობის ხანაში. ამიტომ ხშირად უნდა იმოგზაუროთ ბავშვობის სამყაროში. ნუ დაიზარებთ, მოუყარეთ ბავშვობის მეგობრებს თავი – იმხიარულეთ და „იცელქეთ“ მათთან ერთად. ეს ძალიან გჭირდებათ ხანდაზმულობაში.

***

არ ეცადო, მზის ელვარება და სიკაშკაშე გააუფერულო და გადაფარო შენი „სიკაშკაშით“.

***

ძალიან ცოტაა ადამიანები, რომლებიც „საჭირო“ ცოდნას აგროვებენ.

***

ნაკლის სხვებში ძიებას სჯობს, საკუთარ ნაკლს და შეცდომებს გამუდმებულად ჩხრეკდე...

***

ადამიანებთან მიდგომის სტრატეგია მათი ხასიათიდან გამომდინარე შეიმუშავე. გაითვალისწინე, რომ მათი ბუნება, ხშირად, კეთილშობილური არ გახლავთ.

***

ნუ აღგაფრთოვანებს საკუთარი წარმატებები!.. მხოლოდ ერთს ეცადე: შენი არსებობით, სიტყვით, საქმით და მოღვაწეობით გაალამაზო ცხოვრება შენს ირგვლივ.

***

ნუ აიძულებ თავს, სხვისი აზრით, განკარგულებებით ან მითითებებით იარო; სხვისი გემოვნებით მოაწყო შენი ცხოვრება ან შეიმოსო. ამის საპირისპიროდ გამოიმუშავე საკუთარი აზრი და დახვეწე შენი გემოვნება.

***

თუ გინდა ეზიარო უმაღლეს ღირსებას, პატივი ეცი შენს სურვილებს, ნიჭს და უნარს. ბოროტი სურვილები ჩაახშვე, კეთილი წაახალისე, ნიჭი განავითარე, უნარები დახვეწე. ხშირად განიკითხე საკუთარი თავი, ვიდრე სხვები.

***

თუ ადამიანი მოიძულე, კარგად გააანალიზე, რატომ მოიძულე ის. თუ მისი ღირსებების, ქველმოქმედების და წარმატებების გამო გასწირე და ამას ვერ აცნობიერებ, მაშინ ბნელეთის მოციქულებთან თანამშრომლობ და, პირველ რიგში, სწორედ ისინი უნდა მოიძულო...

***

ადამიანს გონებაში სიტყვიერი და აზრობრივი მასალისთვის მთელი რიგი საკნები და საწყობები გააჩნია. მათი აქტივაცია, მოქმედებაში მოყვანა და გამოყენება მთელ რიგ ძალისხმევას და ოსტატობას მოითხოვს. ვაითუ! ყველაფერი ეს მხოლოდ წინა ერთ საკანშია თავმოყრილი და დანარჩენი მარაგები არ არსებობს... მაშინ ადამიანი ცირკის მსახიობს დაემსგავსება, რომელიც რამოდენიმე გირზით ჟონგლიორობს და მისი დახვეწილი მოძრაობები მხოლოდ მაყურებელთა გასართობადაა გამიზნული...

***

ძალიან ბევრია ნიჭიერი, შრომისმოყვარე და განათლებული ადამიანი, მაგრამ ცხოვრების მიერ შემოთავაზებული ვარიანტებიდან ოპტიმალურის ამორჩევის უნარის მქონე ძალზე ცოტაა.

***

აღიარების ღირსნი ისინი ხდებიან, რომელთა სიტყვამ და საქმემ გაამართლა.

***

განსაცდელისას ტირილით და ვიშვიშით ვერავის გააკვირვებ – ქვეყანას ვერ შეძრავ. თანაგრძნობა შენს მიმართ განელდება, გულშემატკივართა რიცხვი თანდათან შემცირდება. სჯობს, გამონახო საკუთარი ძალები, მიენდო უფალს და გააგრძელო შენი გზა – რაგინდ რთული და გაუსაძლისი იყოს.

***

დროს საჭიროებისდამიხედვით მოაქვს ყველაფერი...

***

ცხოვრება პარალელურ სამყაროებში მოგზაურობას ჰგავს, მხოლოდ ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლისას მეგზურიც და სამყაროც მეუფეც იცვლება.

***

თუმცა ენთუზიაზმით და ხალისით ვეწევით ცხოვრებას, არასდროს ვიცით, სად მიგვიყვანს ჩვენი მცდელობები და რისკები...

***

კარგია, როცა ადამიანი წერს თავის აზრებს და შეხედულებებს; ხსნის თავის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან, მოვლენებთან, სამყაროსთან; ზოგჯერ უმჯობესია, თუ ზოგიერთი ადამიანი არაფერს დაწერს ან საკუთარი აზრის გამოთქმისაგან თავს შეიკავებს...

***

ნუ გარბიხარ იქ, სადაც არ გეძახიან, მით უფრო, თუ არ გაფასებენ ან, უფრო მეტიც, აბუჩად გიგდებენ.

***

ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ყველაფერი ადამიანის წინააღმდეგაა მიმართული. ჩავთვალოთ, რომ ასეა. იფხიზლე – გაწვრთენი შენი გონება და სხეული მუდმივ წინააღმდეგობათა გადასალახავად.

***

ძნელია ცხოვრება იმ ადამიანებისა, ვინც ჭკვიანთა გარემოცვაში არ ტრიალებს და ბრძენთა სიტყვას არად აგდებს.

***

ყოველთვის ეცადე თავზევითა ძალის დაუფლებას, რომელიც შიდა და გარე ვნებათა გაუვნებლობაში დაგეხმარებათ.

# ადამიანი, როგორც ფენომენი - ფსიქიკა, ცნობიერება, აზროვნება

***

მიწიერ-სხეულებრივი გამოვლინებანი, თავისი მრავალსახეობით, სამყაროს მოვლენათა ურთიერთქმედებისა და ურთიერთასახვის შედეგია; ადამიანის შეგრძნებებში სიმბოლოებად ფოკუსირებული ეს სამყარო წარმოსახვითი უკუგანფენილობის გამოუთქმელ შესაძლებლობებს იძლევა.

***

უმჯობესია, იყო უმაღლესით შთაგონებული და იქედან ჭვრეტდე სამყაროს, ვიდრე ადამიანის ყოფის ნაჭუჭიდან იმზირებოდე.

***

ნიჭიერება „ადამიანურობის“ გარანტიას არ იძლევა...

***

გონება გულის წარმომადგენლობისა და ღვთაებრივ არსთა წარმომადგენლობის, ურთიერთობის, თანამშრომლობის, ასევე, ურთიერთ-გამორიცხვა შეუთავსებლობის და ბრძოლის არენაა.

***

გენიოსის მიერ კონკრეტული დროის განცდა-ზემოქმედებით შექმნილი მუსიკა, რომელშიც მსოფლიო სული მონაწილეობს, ადამიანებს ყველა დროში აღაფრთოვანებს; მისი წაკითხ-

ვა-ამოცნობის შთაგონებით, მუსიკის შინაარსში იმ კონკრეტულ დროს განაცდევინებს, როცა ის შეიქმნა. და თუ ეს ასეა, მაშინ მუსიკა კაცობრიობის ისტორიას „თავისი ენით“ გადმოგვცემს და გვიყვება...

***

გონების მიღმა ბევრი რამ არის, მათ შორის ჩვენი გონებაც...

***

საგანთა და მოვლენათა სიტყვიერი მნიშვნელობით გაფორმება – მეტყველებაზე გადასვლა და ამის შედეგად, ცნებებით ოპერირება-აზროვნება – სემანტიკური ველის წარმოშობის, თავის ტვინის შესაბამისი უბნების გაფართოება-განვითარების წინაპირობა იყო, რომელიც, თავის მხრივ, მიზანშეწონილობის – ადამიანური არსის და ფენომენის იმთავითვე დაშვების შედეგია..

***

გამჭრიახი ადამიანი, მარტოობაშიც კი, სხვათა თვალთამზერას გრძნობს...

***

ადამიანის ტვინი ორგანოა, რომელიც გარესამყაროს ადამიანის „არსებას“ აცნობს და აკავშირებს.  თავის მხრივ, ეს „არსებაც“ აცნობიერებს და ანვითარებს ტვინს. ამ უკუკავშირებით პროცესს, პირობით-ფუნქციონალური შინაარსების ადამიანამდე დაყვანა-დაშვების ზღვრები გააჩნია...

***

ადამიანის ნააზრევი ცალმხრივია, თუკი იგი სხვა ადამიანების ნააზრევით არ არის მხარდაჭერილი და განმტკიცებული.

***

გული სტიმულატორია – სიცოცხლეს და მოქმედებას ითხოვს. ტვინი მბრძანებელია – წესებსა და კანონებზე აწყობილი. გული გულითადი მასპინძელია, ხოლო ტვინი სტუმრებს მხოლოდ საჭირო დროს, საჭირო ადგილას ხვდება, რის შემდეგ მათ ცივი გონების წესით მკაცრად ახარისხებს და თავ-თავის ადგილზე ალაგებს...

***

აზროვნება, რომელსაც მონობის დაღი აზის ან მოსყიდულია, ყველაზე დამამცირებელია ადამიანისათვის...

***

ჩვენი განსჯა ჩვენი შეხედულებებითაა გამსჭვალული. ჩვენი შეხედულებები კი, არასდროსაა მიუკერძოებელი, ჩვენივე ეგოცენტრულობიდან გამომდინარე. ამიტომაა, განსჯა რომ არასდროსაა უბიწო. არგუმენტები ვერასდროს გახდებიან საღი აზრის თავმდებნი. უმჯობესია, მკაცრი განსჯისაგან ყოველთვის თავი შევიკავოთ.

***

ჩვენი საჭვრეტი, რომელიც დროში, სივრცეში, აზროვნებაში მრავალფეროვნებას აფიქსირებს, განსაზღვრავს კიდევაც ჩვენს განსხვავებულ აზროვნებას და ყოფას.

***

არა მგონია, ფსიქიკაში დაშვებული „აზროვნება“ და მისი გაშიფვრა, მით უფრო, მეტყველების საშუალებით მისი გადმოცემა ადამიანს შეეძლოს...

***

სავარაუდოდ, სიტყვის დამახსოვრება, ასევე, მისი მეხსიერებიდან ამოღება ფრაგმენტებად ხდება. დამახსოვრების ცენტრში სიტყვა აღიქმება, როგორც სხვადასხვა ელექტრო იმპულსების ნაკადი, რომლის დიფერენცირება –დახარისხება–დამახსოვრების უნივერსალ აპარატს ტვინი წარმოადგეს.

***

ადამიანისთვის აზროვნებითი შეზღუდულობა-შებოჭილობა სასურველელი არ არის, ისევე როგორც ფანტაზიების და წარმოსახვების უსაზღვრო გაშლა-გაფართოება...

***

გულ-გრძნობა – ინტუიცია მსუბუქი ძაფებითაა ნაკერი, მაშინ, როცა გონება მყიფე, მსხვრევადი ჯაჭვებითაა ნაქსოვი; მსუბუქი – მგრძნობიარე ძაფები უფრო ელასტიური, გამძლე და გამართლებულია, როგორც ფიზიკური არსებობის გასახანგრძლივებლად, ასევე, სულიერ გრძნობათა შესაქმნელად, შესანარჩუნებლად და გადასარჩენად...

***

სანამ ცხოვრებას აზრი აქვს და „ვინმე“ გგონია თავი, იბრძვი, იღწვი – ებღაუჭები შენს შეხედულებებს და პოზიციებს. თუ ხელიდან გამოგეცლება მთავარი საზრუნავი, ანდა საზრისი, ყველაფერი ერთბაშად უფერულდება – ნადგურდები როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად...

***

თუ ჩვენ ამ სამყაროს მოვლენებს, საგნებს, ცხოვრებას, წვრილმანებს სიმბოლოებად და მაგალითებად არ მივიღებთ, მათში ჩვენს შესაძლებლობებს არ ჩავრთავთ და არ ავამუშავებთ, ჩვენი ფანტაზიის პროდუქტებს გორა-გორა არ დავახვავებთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ორი სიტყვა: „იყო“ და „არაიყო“...

***

ხალასი ნიჭის დამონება-დაქვემდებარება შეუძლებელია.

***

ადამიანის ცნობიერების „ჩაკეტილი სისტემის“ გახსნას პირველად ფროიდი შეეცადა. მე-20 და 21-ე საუკუნის „მოაზროვნეები“ კი ამ სისტემის არათუ გახსნას, არამედ დაბლოკვის და სათავისოდ წარმართვის ძიებას, მთელ საკაცობრიო გამოცდილებას და ძალისხმევას ახმარენ...

***

არასოდეს იაზროვნო სხვის მაგივრად და სხვათაგვარად... თუმცა, შეიძლება შეეცადო და მიაღწიო იმას, რომ იაზროვნო შენდაგვარად...

***

უნდა დაუდარაჯდე გონებას, მის „გადმონაყარ ნარჩენებში“ უამრავი საზრდოა...

***

ადამიანმა რაც იცის და რასაც ხედავს, მხოლოდ მისი ნაწილის გადმოცემა და აღწერა შეუძლია. „იცის“- გადმოცემა არ შეუძლია, „ხედავს“ – ვერ აღწერს. თვით ყველაზე ინტელექტუალურ ადამიანს მოვლენის ზუსტი ასახვა და გადმოცემა ვერბალურად უჭირს. ამის მიზეზია ისეთი ფაქტორები – როგორიცაა: 1. მოვლენის სირთულე; 2. კონსერვატული მიდგომები; 3. საზოგადოებრივ შეხედულებათა ტყვეობაში ყოფნა; 4. გამბედაობის არ ქონა – დაამსხვრიო ყოვლადაღიარებული; 5. ინტერპრეტაციის სირთულე, რომელიც ყოველთვის სუბიექტურია.

***

ადამიანი იბადება სოციალური ინსტინქტებით და ზრუნვის ინსტინქტებით (განსაკუთრებით ქალები). ამ ინსტინქტების დახშობა პათოლოგიაა.

***

ნებელობა – ადამიანის მოთხოვნილებათა კასკადიდან გამომდინარე – ბიოლოგიურ განწყობილებათა იმპულსების სოციალურ მოთხოვნილებებთან და შინაარსებთან შერწყმა-შეთავსებით განპირობებული – ნაკარნახევი ქცევაა.

***

თუ სოციუმს ცნობიერების ფორმირება შეუძლია, მას აგრეთვე ჩვენი მოთხოვნილებების ფორმირებაც შეუძლია. აქტუალურ მოთხოვნილებათა გარდა, არსებობს სხვა მოთხოვნილებები. მათი იერარქია და სულიერი მოთხოვნილებები, სწორედ საზოგადოებასთან ურთიერთობისას ფორმირდება.

***

ბუნებას შემონახული აქვს წესები. ადამიანში (ფსიქიკაში) ჩადებულია მექანიზმები, რომლებიც განსაკუთრებულ (სტრესის, სტიქიონების, ომების) შემთხვევებში და სხვადასხვა იძულებების დროს იწყებენ ამოქმედებას.

***

ფსიქიკა ერთგვარი მოძრავი (დროშიც, სივრცეშიც) ლაბორატორიაა, რომელიც თავისი ექსპერიმენტების – განსაკუთრებული შემთხვევების ჩანაწერებს აკეთებს და შთამომავლობას გადასცემს.

***

დღეს, აზროვნება განზრახ დაქუცმაცებულია და ნასაზრდოებია არაარსებითი საგნებით და მოვლენებით; იგი არ ვითარდება ისე, როგორც უნდა ვითარდებოდეს. მბრძანებელი ვნებები ადამიანს „ტვინის წინა საკანში“ უზის და მოსვენებას არ აძლევს... ყოველგვარი ფანტაზია და წარმოსახვა ამ ვნებებითაა პირობადებული. ამის გამო „ჭეშმარიტი“ აზროვნება ჩაკეტილ სისტემაში იმყოფება...

***

ამბიციები ადამიანის შესაძლებლობებს ვერასოდეს ამოწურავს...

***

ცნობით თუ უცნობელად, ადამიანი განმეორების ჟინით არის შეპყრობილი. იგი ასახავს თავისი დროის, თავის დროის წინა, ასევე, საუკუნეების წინა მოვლენებს სხვადასხვა ფორმით, თუმცა ამას ყოველი ადამიანი თავისი ნიშნით აღბეჭდავს; დაჟინებით, ჯიუტად, რიტუალურად, ზოგჯერ ავადმყოფურად იგი ამას ახერხებს, რითაც ამტკიცებს და ადასტურებს თავის ერთადერთობას და განუმეორებლობას...

***

ყველა მსჯელობაში არის რაღაც სოფისტური, ხელოვნური, გაზვიადებული, ტენდენციური, ფანატურ-ფანტასტიკური...

***

ადამიანი არ არის მარტო „ეს" – რაც აქ არის. ის არის საიდანღაც მოსული სხივის გამოსახულება -გამონაშუქი, რომელიც აქ შესაბამის კვალს ტოვებს...

***

უტილიტარისტთა (ვოლტერი, ჰოლბახი, ჰელვეციუსი) შეხედულების საპირისპიროდ მსჯელობისას უნდა ვთქვათ, რომ ადამიანი რომელიც ეგოცენტრულობას კარგავს, ის ავადმყოფია (პიროვნულობის ბირთვი არ არის ან ნაკლებად შენარჩუ-

ნებულია) – საკუთარ ვნებებში გაუწონასწორებელ-გაუცნობიერებელია და ასეთი არც საზოგადოებას გამოადგება. ადამიანი ტანჯვა-სიამოვნების ნაშიერია; იგი, ამ ზღვარში მოქცეული, ზომიერებას ებღაუჭება; მის საზღვრებში ეძებს და პოულობს გამოსავალს, – ესაა მისი ფენომენალურობა. თუ ადამიანს იმას მოვაშორებთ, რამაც ის შექმნა, მისგან არაფერი დარჩება...

***

აზროვნება – არა მარტო სათავისო! – ხდის ადამიანს ადამიანად.

***

ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თითოეული ჩვენთაგანი კოსმოპოლიტია, – ამ ჭრილში ვაზროვნებთ...

***

არ არის კითხვა, რომლის პასუხი ბუნებაში თავისთავად არსებობს. ერთი კითხვის პასუხი მეორეშია, მეორის მესამეში და ა. შ. მრავალ საკანთა შორის მყოფი (გაბნეული) კითხვის პასუხი ადამიანისათვის გამოცანათა-გამოცანაა და მისი მთელი ცხოვრების დილემას წარმოადგენს...

***

ზეშთაგონებებით, ზეცნობიერებით, სულში ხდება დიდი გარდატეხვები; რა, როგორ, როდის – ეს ნაკლებად შესწავლადია, მაგრამ გონების აზროვნებითი პროდუქტებით, ასევე, ადამიანის მოქმედებითი გამოვლინებების შესწავლა სავსებით შესაძლებელია.

***

კულტურათა ფსიქოლოგია, რომელიც, ზოგჯერ, ძალადობრივი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ნაშობია, არ უნდა ავურიოთ თავად ადამიანის ფსიქოლოგიის განმარტებაში...

***

როგორც ფსიქიკურ, ასევე სომატურ დაავადებათა დიდი პროცენტი ემოციურ დაძაბულობაზე, შეუსრულებელ სურვილებსა და მოთხოვნილებებზე მოდის (აქ სხვა ფაქტორებიც მუშაობს...). მოთხოვნილებათა გაზრდამ შეუსრულებელი სურვილების წილი გაზარდა, რამაც, თავისთავად, ფსიქიკური დაავადების წილის გაზრდა გამოიწვია. სავარაუდოა, ფსიქიკურ დაავადებათა რიცხვი კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს მომავალში. დროთა განმავლობაში, ცხადია, ამუშავდება „გადარჩევის" ფაქტორი. მოხდება ძლიერთა, უკეთ შეგუებულთა გადარჩენა... საინტერესოა, ამ შემთხვევაში „ძლიერი" სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს ფიზიკურად დიდს და ძლიერს. თუ ადრინდელ საუკუნეებში ერთსა და იგივე პირობებში იმარჯვებდა ძლიერი და ძლიერთა სქესი, აქ, უფრო შეცვლილი გარემოს და დროის დაკვეთის კვალდაკვალ, ბუნებამ შეიძლება სწორედ ძლიერთა სქესი დაიწუნოს. გადარჩევის შედეგები გენის შესაძლებლობათა ლაბირინთებში უნდა ვეძიოთ...

***

ადამიანის ცალკეულ ორგანოთა ბიოენერგეტიკა იკრიბება, აისახება თავის ტვინში. თავის ტვინი პულსირებს ამ ენერგეტიკით. გასაკვირი არ არის, სწორედ ორგანოთა დაზიანების

გამო, დაირღვეს პიროვნების ფსიქიკური მთლიანობა (დეპრესია, განწყობილებების შეცვლა, ცხოვრების ინტერესის გაქრობა და ა.შ.). ეს შეიძლება იყოს გარდამავალი, დროებითი ან მყარი, იმისდა მიხედვით, რა მდგომარეობაშია ესა თუ ის ორგანო. მთლიანობაში ადამიანის ფსიქიკის სირთულეს განაპირობებს ცალკეულ ორგანოთა მდგომარეობა. მოხუცებულობით დეპრესიას ფიზიოლოგიურ პროცესთა დეფექტები, ასევე, ჰორმონული დისბალანსი განაპირობებს, რაც შესაბამისი ორგანოს ატროფიასთან არის დაკავშირებული. ენერგეტიკული ხარვეზი – ჩავარდნა, თავის ტვინში აისახება. ამრიგად, ადამიანის ჯანსაღი საზრისი, სასიცოცხლო ტენდენციათა სისრულე-სრულფასოვნება დამოკიდებულია ჯანმრთელი ორგანიზმის ქონასთან.

***

არასრულფასოვნება ზოგჯერ წარმოშობს განსაკუთრებულობას (თემა დიდია, საჭიროებს გაშლას და ანალიზს)... საჭიროა მსჯელობა და კვლევები იმაზე, თუ გენეტიკური დარღვევების, ფსიქიკური გადახრების და ა.შ. სხვადასხვა პათოლოგიების დროს, რატომ ძლიერდება ინტუიცია, მეხსიერება ან გამოვლინდება სხვადასხვა არაორდინალური უნარები...

***

ის, თუ როგორ დამოკიდებულებაშია ადამიანი სამყაროს მოვლენებთან – მზესთან, მთვარესთან, პლანეტებთან, გრავიტაციასთან, რხევით ტალღებთან, სითბოსთან, სიცივესთან, ასევე ბიოლოგიურ სამყაროსთან (სიამოვნება-უსიამოვნების საზღვრებში), განაპირობებს მისი ფსიქიკის, ქვეცნობიერის ჩამოყ-

ყალიბება-ფორმირებას, რომელიც სოციალურ ცნობიერებასთან შეხება-ურთიერთობისას წარმოშობს და აყალიბებს მის გემოვნებას, მიდგომებს, დამოკიდებულებას, მსჯელობებს და, საბოლოოდ, გამოკვეთს მის მიზნებს.

***

ადამიანის მოთხოვნილებები (სულიერიც და მატერიალურიც) ფიზიოლოგიურ ძვრებში დევს; სოციალურ-როლურ ინტერესებში კი სჭვივის ზოგადი კანონები, რომლებსაც ეს მოთხოვნილებები ექვემდებარება.

***

თუ ადამიანი ცოტას საუბრობს ან დუმს, ეს არ ნიშნავს, რომ არ აზროვნებს ან გამალებულად არ საუბრობს როგორც სხვებთან, ასევე საკუთარ თავთან...

***

რატომღაც ყურს უფრო უკვირს, ვიდრე მხედველობას. ნანახი – დამაჯერებელია, მოსმენილი – გამაოგნებელი...

***

სამყარომ, ზედმიწევნითი ასახვის წყალობით, მეორე სამყარო ჩვენს შეგრძნებებში გაშალა.

***

ზეცნობიერება არის ცნობიერების განსაკუთრებული სახე, რომელიც მასში შემოსულ სიმბოლოებს ცნობიერებისათვის მისაღებ ენაზე თარგმნის...

***

ბედნიერს ერგო წილად, გული გონებასთან იმდაგვარად დაეკავშირებინა, რომ მათი ურთიერთთანამშრომლობისგან სასარგებლო პროდუქტები ეწარმოებინა.

***

შრომისმოყვარეობა გაცილებით დიდი ნიჭია, ვიდრე „ნიჭიერება“ ზოგადად.

***

ადამიანი მისდაუნებურად მოძრაობს ზოგადი კანონების მიხედვით. სამყაროს გონისმიერი – პირობითი დანაწევრება მას ხელს ვერ უშლის ამ მოძრაობაში. მისი გრძნობები, სურვილები და მისწრაფებები განზავებულია ზოგადი მოძრაობის სისტემაში. თავისი ძალებით ის ამ სისტემიდან ამოხტომას ვერასოდეს მოახერხებს.

***

ქვეცნობიერება ორგანიზმში ფიზიკურ და ბიოლოგიურ პროცესთა ფუნქციონირებისას მუშაობს და მათ მოძრაობას აკონტროლებს. მას შეგრძნებათა სიმკვეთრე და რაგვარობა ცნობიერებაში შემოაქვს. ცნობიერება საგანთა ხატების ოპერირებასა და ვერბალურ გაფორმებაში მჟღავნდება.

***

ყოველგვარი ცოდნა, აზრი და დამოკიდებულება მოვლენების შესახებ გენშია კოდირებული. ზოგიერთი მათგანი მარეგრესირებელია და რეცესიულ (დათრგუნულ) მდგომარეობაში

იმყოფება. განსხვავებული აზრი დემოკრატიის მონაპოვრად არ უნდა მივიჩნიოთ – ის არსებობდა ბუნებაში და იარსებებს ჩვენგან დამოუკიდებლად, თუმცა, ზოგჯერ, დაიშვება და გადაიქცევა ჩვენი ცხოვრების „მთავარი აზრის“ მაყალიბებელ-მაფორმირებლად... თუ მარეგრესირებელ-რეცესიულ მდგომარეობაში მყოფ აზრს ადამიანი „არაკეთილმოსურნე ძალების“ დახმარებით არასაჭირო დროს წამოატივტივებს და თავს მოახვევს საზოგადოებას, იგი, როგორც მასნებოვანებელი ვირუსი, ადამიანის როგორც მორალური, ასევე ფიზიკური განადგურების საშუალებად იქცევა.

***

სიზმარში მუშაობს არქაული წარმოდგენები თავისი ენა-სიმბოლოებით, ასევე, მასში მოძრაობს ფრაგმენტები ადამიანის ფილოგენეზური განვითარების ფაზებიდან – თვით ფიზიკური ელემენტების ურთულეს ბიოლოგიურ სისტემებში ჩართვის და ადამიანში მათი ასახვის პროცესებით. ეს პროცესები, თავისი ნიშან-სიმბოლოებით პროეცირდება ქვეცნობიერებაში, ხოლო ცნობიერებაში წარმოდგებიან დამახინჯებული – დეფორმირებული ფანტომების სახით. სიზმარში, ასევე წარმოდგება ნანახის და განცდილის ფრაგმენტები, მოვლენების ნაშთები. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ სიზმარში ინფორმაციები განზრახ ჩახშობილია. თუმცა ადამიანს აქვს ნათელი ხილვაც, რომლითაც საჭირო დროს სრული ინფორმაცია ეძლევა, ყოველგვარი ჩახშობისა და დეფორმაციის გარეშე...

# ადამიანი და ბუნება

***

ადამიანის დაბადების ადგილი, ფიზიკურ სამყაროსთან გაუცნობიერებელი პირველადი კავშირის, უდიდეს საიდუმლოებებთან, კანონზომიერებებთან ზიარების ადგილია; ფიზიკური და გონებრივი მოძრაობისათვის ათვლის წერტილია. ადგილია, რომელიც ადამიანის ცხოვრებასთან, მომავალთან კოდირებულია გარემოთი, განუმეორებელია და აიხსნება როგორც სისავსის, სიყვარულის, სრულფასოვნების, ასაკის, გეოდამოკიდებულების და სხვა, ჯერ კიდევ შეუცნობელი ფენომენებით...

***

ბუნების უნივერსალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი დაუშვებელი და დაშვებული შესაძლებლობები ადამიანის გენშია კონსტრუირებული და კონფიგურირებული.

რატომ დაუშვებელი? – დაუშვებელი იმიტომ, რომ ზღვარს იქით „დაშვებულობა“ აზრს კარგავს...

რატომ დაშვებული? – დაშვებული – არსებობაშია, –არსებობს, აირეკლება, აისახება თავის თავში, გარემოში, მომავალში...

***

ბუნებამ მეცნიერებს უკვე დაუმტკიცა, რომ სამყაროს დაშლა-დანაწევრება კი არ არის საინტერესო, არამედ – აწყობაა სენსაცია...

***

ასახვის კანონებიდან გამომდინარე, გენი და მისი კონფიგურაციები შეიძლება გადაცემული იქნეს სინათლის მილიონი წლებით დაშორებულ პლანეტებზე, ფიზიკური „გადატანის“ გარეშე... და თუ ეს ასეა, ეტყობა ბუნებამ გაითვალისწინა ადამიანის „შესაძლებლობები“ (ცუდი გაგებით).

***

თესლში – ასახვის უნივერსალურ პროდუქტში – ასახვის შედეგი – თესლის სახეობაა კონცენტრირებული, ხოლო აღმონაცენში – განშტოებითი შესაძლებლობა (მიზეზი), რაც, ასევე, ასახვის სისტემაში მიმდინარეობს...

***

ადამიანის ფანტაზია ბუნების ფანტაზიის ფონზე, საკმაოდ უფერულია...

***

მთელი თავისი მრავალფეროვნებით, მასაზრდოებელი და სიმბოლურ-ენერგეტიკული მნიშვნელობით, ბუნება არის ის, რომლის სახეში ადამიანმა უფალი უნდა იხილოს...

***

დროის და პირობების შესაბამისად, ბიოლოგიური სისტემების გამართლებულმა რეაქციებმა შეგუება განაპირობეს და ადამიანში შესაბამისი ფსიქიკური ბირთვი წარმოშვეს; ეს ბირთვი, თავის მხრივ, ფუნქციურ სისტემებს აყალიბებდა; გაუმართლე-

ბელი რეაქციები კი ქვეცნობიერში ლაგდებოდა, როგორც „მომაკვდინებელი ინსტინქტები“, რომლებმაც შეიძლება ოდესმე თავი წამოყოს...

***

უფალმა ბუნებას უბოძა ადამიანი, ადამიანს კი – ბუნება, დროშიც და სივრცეშიც, მისი ყველა გამოვლინებით. ამ მთლიანობის სრული შინაარსის ბოლომდე გააზრება ადამიანს არ შეუძლია...

***

სამყარო ერთი სხეულია, რომელიც მიმატება-გამოკლებაზე თავად ზრუნავს.

***

როდესაც ფარშავანგის კუდი დაკეცილია – ის კუდია, მაგრამ როდესაც გაიშლება და მის მოხატულობას ვიხილავთ, ეჭვი შეგვეპარება, რომ ის მარტო კუდია... მასში დევს რაღაც სიმბოლური, მნიშვნელობითი, სამყაროსეული, ზოგადი; ფიზიკური სამყარო ბიოლოგიურ არსში ფოკუსირებული, მის ენაზე გადმოხატულ-გადმოთარგმნილი – ბუნების ფანტაზია ადამიანურ ფანტაზიაში ასახულ-წარმოდგენილი...

***

თუ ვინმე ცდილობს, „აუკრძალოს“ ადამიანს თაყვანისცემა მზისადმი, ის ცდილობს უფალი მოსწყვიტოს მას თავისი შეგრძნებებიდან, რამეთუ „მზე“ ადამიანშია, დაუსაბამო დროიდან ირეკლება და ისახება მასში...

***

ცოცხალმა ორგანიზმებმა, როგორც სისტემებმა, თავისი მოწესრიგებული არსებობის ფორმით, ინდივიდუალურობით, ფუნქციონირებით, მნიშვნელობით, შეუძლებელია, ადამიანს არ აღუძრას წარმოსახვა, რომ ისინი „რაღაცის“ – უფრო დიდი მოწესრიგებულობის განზოგადებული, სიმბოლური ნიმუშები არიან...

***

ბუნების კანონები მხოლოდ ფაქტების წინაშე გვაყენებენ. ჩვენ მეტი არაფერი დაგვრჩენია, უნდა შევეგუოთ მის პირობებს. გენს თავისი პლასტიურობა გააჩნია – ვერ გავიწელებით იმად, რაც არ ვართ... თუ „მსოფლიოს მამებს“ გადაწყვეტილი აქვთ ადამიანის ხელოვნური რეპროდუქცია – მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის და შემადგენლობის ხელოვნური მართვა, ეს შესაძლებელია რაღაც დროის მონაკვეთში განხორციელდეს კიდევაც, რის საპასუხოდ ბუნება თავის მექანიზმებს ჩართავს...

# რწმენა და რელიგია

***

მკვეთრ შუქს მკვეთრი სიბნელიდან გამოსული უფრო გრძნობს. უმეცრების, ტოტალიტარული სიყალბის, უსამართლობის რეჟიმის პრესში მყოფი ადამიანები უფლის სინათლეს და სიმაღლეს უფრო შეიგრძნობენ და განიცდიან.

***

გამოხსნობა სულისა ჩვენისა ეშმაკისაგან – ჩვენი ადამიანური ვალია.

***

უფლის არსის მრავალგანზომილებიან სივრცეში ერთი ხაზი ადამიანისაცაა, რომელიც შეიძლება აღმავალი ან დაღმავალი იყოს. შეუერთდება თუ არა მისი აღმავალი ხაზი უფლის ყოვლისმომცველ სამყაროს, ეს ადამიანისთვის სავსებით უცნობია.

***

რელიგია და მისტიკა აღიარებს, რომ ახალი წელთაღრიცხვიდან სულიერმა განვითარებამ იკლო. ეს, ერთის მხრივ, აიხსნება მეცნიერების განვითარებით, რომელმაც ბევრ მოვლენას მეცნიერული ახსნა მოუძებნა და მისტიური საბურველი ჩამოხსნა, მეორეს მხრივ, ადამიანს გონება დაუბნელა თანამედროვე ტექნიკის მიერ შემოთავაზებულმა „გასართობებმა“.

***

ზომამდე ცოდვილიანი გაგვაჩინა უფალმა, ამის წამლა ჩვენს წამლას უდრის...

***

ადვილი არ არის ბრძოლა საკუთარ თავთან, ზედმეტი ბრალდებები თვითმკვლელობის ტოლფასია, რაც უფლის მიერ დაუშვებელია...

***

ბიბლია არ არის წიგნი, რომელშიც ქრონოლოგიური შეუსაბამობების გამო ბიწიერება ვეძიოთ. ის არის ოკეანე, რომელშიც უნდა შესცურო; ალაგ-ალაგ განლაგებული კუნძულები მოიარო; უმაღლეს ადამიანურ ხარისხში გაიაზრო უაღრესად ადამიანური მახასიათებლები – აღმოიყვანო კუნძულის წყლით დაფარული ნაწილები და იხილო ღვთაებრიობით განათებულ მოცემულობაში; შეძლო ადამიანურის გაერთიანება-გამთლიანება უფლის უდიდეს და უზენაეს ძლევამოსილების გარდაუვალობასა და კანონზომიერებაში...

***

ვერავინ გაუკონტროლებს ადამიანს თავის წარმოდგენებში, რა სახით, როგორ ხატავს წარმოსახავს უფალს, მით უფრო ვერ უსაყვედურებს და ვერ გაკიცხავს ამის გამო. ეს განცდა და დაშვებულობა სხვადასხვა სიმბოლოებში გამოიხატება (ადამიანს იშვიათად ეძლევა უფალი ხილვადი ფორმით).

***

სიცოცხლის სულ მცირე ზოლში, უფალმა მთელი თავისი შესაძლებლობების კონცენტრაცია მოახდინა; ამ დიდი ასახვის სარკული ასახვა ადამიანის ცნობიერებაში გადაიტანა, როგორც მარადიული მჭვრეტელობა უფლის დიადი საოცრებისა.

***

ადამიანისთვის, ყველაფერი, აბსოლუტურად განცდადი არ არის, მთელი სისრულით ის მხოლოდ უფალშია მოცემული.

***

რელიგიური განათლება გონების განათება არაა...

***

ადამიანის აზროვნება, მოქმედება-მოღვაწეობა უზუსტეს – უზენაეს განზომილებაში აირეკლება, რის მიხედვითაც მიეგება უფლისგან.

***

სრულყოფილება არ არსებობს ერთ განზომილებაში, ის უსათუოდ მრავალგანზომილებიანია...

***

დედის მიერ შვილის სიყვარული, უფლის ჩვენდამი სიყვარულის უზენაესი გამოვლინებაა, ამიტომ უფალი არ გვპატიობს ერთმანეთის დამცირებას, შეურაცხყოფას, ჭრილობების და ტკივილების მიყენებას, მით უფრო, მშობლის მიმართ უპატივისცემულობას.

***

ვნებებისაგან სხეულის განწმენდა დამახინჯებული მცდელობებით, ზედმეტი ბრალია საკუთარი სხეულის, ქვეყნად მომვლინებლების (მშობლების), ასევე უფლის წინაშე...

***

ბუნების გამოვლინებებში, მის ყოველ ძვრასა და კანონზომიერებებში უფლის ძალასა და მის უზენაესობას ვგულისხმობ.

***

თუ ეშმაკი ხედავს უფლის მთელ დიდებულებას – მის ბრწყინვალებას, მისგან განსხვავებით, ადამიანს არა აქვს თვალი, რომლითაც უფალს სრულად იხილავს...

***

თუ ადამიანს არ მიაგებ, – მით უფრო, ვერ მიაგებ უფალს...

***

კაცობრიობას ქრისტეზე ძვირფასი ვინ ჰყავს – ვინ გააკეთა მისთვის უფრო მეტი?..

***

როდესაც ადამიანი, თავის წარმოსახვაში, ეკლესიის კარს აღებს, იქ უფალი ეგულება – სადაც ადამიანების ღუზღუზი, დაქვემდებარებულობა, ბრალი და ბიწიერება არაა... ადამიანი თავისუფალმა აზროვნებამ და გადაწყვეტილებამ უნდა მიიყვანოს უფალთან და არა ძალდატანებამ ან შიშმა.

***

ზოგიერთ მომაკვდავს ეკლესია მარტო ქვითკირის კედლები ჰგონია, – დასანანია...

***

ყველა ვნებისაგან სხეულის დაცლა აპათიაა, რაც სულიერი სიჯანსაღე არაა... უფლის წიაღში შობა, მხოლოდ ურთულესი გზით – სულიერი კათარზისით მიიღწევა.

***

როგორც ჯიუტი, პატარა ბავშვი მშობლის ძახილს იგნორირებას უკეთებს და გარბის გაურკვეველი მიმართულებით, ხოლო საშიშროებისას სწრაფად უბრუნდება მას, ასევეა მგმობელი ათეისტი... მისი გამუდმებული ჭიდილი და წინააღმდეგობა უფლის მიმართ, ადასტურებს რომ იგი უფალს აღიარებს (რაც არ არსებობს იმას არ ებრძვიან და არ ეჭიდებიან)... საკმარისია, მის ფეხქვეშ მიწა ოდნავ შეტორტმანდეს, იმ წუთშივე უფლის სახე წინ დაუდგება, – მუხლს მოიყრის და პატიებას შესთხოვს მას... მანამდე? – მანამდე თამაშობს, ერთობა, უფლის მოთმინებას ცდის...

***

ვინც არ აღიარებს ადამიანს, როგორც ღვთაებრივ არსებას, მისი სრულფასოვნება ჩემში ეჭვს იწვევს...

***

სულის სილამაზეს, ვერანაირ ხორციელ სილამაზეს ვერ ვამჯობინებ.

***

ყოვლადმყოფობა და ყველგანმყოფობა – ეს მხოლოდ უფალია.

***

აღსარება:

მამაო, შენს წინაშე დგას გენეტიკურად დაბომბილი, ქიმიური საწამლავებით მოშხამული, გაურკვეველი ტექნოლოგიებით ნაწარმოები საკვებით ნაკვები, პრესა-ტელევიზიებით გამოთაყვანებული, კომპიუტერული ტექნოლოგიებით, სიხშირეებით დამოკილი, – ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოქცეული, დაბნეულ-დეპრესირებული საზოგადოება, ასევე, გენეტიკურად დეფორმირებული, ოჯახისა და ტრადიციების კატაკლიზმური ნგრევის თვალმხილველი, – მადეპრესირებელი გავლენების ქვეშ მყოფი – იდენტიფიკაციის კრიზისის მქონე ახალგაზრდობა, რომელთაც გაწონასწორებულობას ვერ მოთხოვ!.. ამ პრობლემას მარტო ქადილი – ჯოჯოხეთში მოხვედრისა, ვერ უშველის. აუცილებელია, რელიგიის წარმომადგენელთა განსაკუთრებული, ემპათიური მიდგომები, აგრეთვე, მოაზროვნეთა, ფსიქოლოგთა, ბიოლოგთა, პედაგოგთა, პატრიოტთა და ჰუმანისტთა ერთობლივი მუშაობა-კონსულტაციები, ერთობლივი მოსაზრებების დამუშავება-დახვეწა-ჩამოყალიბება თემებზე, რომლებიც ამ საუკუნის, ამ დროების უდიდესი პრობლემებია.

***

უფლის წინააღმდეგ ამხედრებული კაცი, კარგავს რა ადამიანურ სახეს, – მხეცებს უერთდება...

***

ზოგჯერ ჩვენი სახე ეშმაკის სახეში უნდა ვეძებოთ და იქედან დავიხსნათ...

***

დიდი მადლი უნდა გაგვაჩნდეს, როგორც საკვების, ასევე, სულიერი „საზრდოს“ მიმართ.

***

განსაკუთრებულად ურწმუნო, განსაკუთრებულად უპირისპირდება და ეწინააღმდეგება უფალს „რითაც“ აღიარებს მას...

***

უფალმა უთხრა ადამიანს: შენ დაიწყე, დაამთავრებ თუ არა, ეს ჩემი საქმეაო...

***

ის, რაც აღემატება თავის თავის ძალას – ეს უფალია.

***

უფალი ადამიანში ღვთაებრივ არსად უნდა განაწილდეს და განაწევრდეს და არა ისე, როგორც რელიგიებად დაანაქუცა და დაანაწილა ადამიანმა თავისი საჭიროების მიხედვით...

***

ვემიჯნები რელიგიას, რომელიც უვიცობით ან რაიმე სარგებლის გამო, სხვათა მრწამსს შეურაცხყოფს...

***

ყოველი საგანი, მოვლენა და წარმოდგენა, რომელიც ადამიანებს, საზოგადოებებს ანაწევრებს, აცალკევებს და ერთმანეთისგან ყოფს, არაუფლისმიერია; ის, რაც მათ აერთიანებს – ესაა უდიდესი ჰუმანურობაც და ღვთაებრიობაც.

***

უფლის სახელით მკვლელობები ან თვითმკვლელობები რელიგიური ნარკომანიაა და თავად უფლის გმობაა.

***

ვაი მას – ზეადამიანად ქცევის აკვიატებულ აზრს; აღმატებულად ყოფნის უდიერ, გაუაზრებელ სურვილს ადამიანისა, რომელიც თავისი ქვე-უცნობი მოსაზრებებით და განწყობილებებით, უბრალო ადამიანებს – ვითარცა არასრულფასოვან არსებებს – „თრგუნავს“ და უზენაეს ღვთაებრიობას აშორებს მათ...

***

მიმტევებლობა არ არის ლიტონი სიტყვები. სულიერი სიმაღლეების დაპყრობას, სულიერი კათარზისი – თანდათან სულიერი მომწიფება და საფეხურების გავლა სჭირდება...

***

თვით „უკომპრომისო“ ათეისტებსაც კი, თავიანთი მსჯელობა უფალთან მიიყვანს... თავგამოდებული ბრძოლა-ჭიდილი რელიგიურ საკითხებზე, ღმერთის აღიარებაა (არარსე-

ბულს არ ებრძვიან). იმის მოთხოვნა, თუ უსამართლობა რატომაა – ეს, უკვე, ღმერთთან მიმართებაა და ღმერთის მიმართ ბრალია...

***

იქ, სადაც ადამიანი ადამიანის წინაშე ბრალით წარსდგება და არა თანაგრძნობიერებით, უფალი იკარგება...

***

ადამიანის კოსმოგონიურობაში მჟღავნდება უფალი...

***

ხანშიშესულ ადამიანებში, წარსული შეცდომებისა და არასწორი ცხოვრების – ხორციელი ვნებების ფონზე, ხშირად იღვიძებს სინდისი და მონანიების სურვილი უფლის წინაშე; ზოგიერთი, თავის თავს ღმერთთან საუბრის ღირსად არ თვლის და ამით ისჯის თავს...

***

ნუ შევეცდებით ულმერთო საზოგადოების დიდაქტიკური, პატრიოტული ან სხვა ჰუმანური იდეებით დამოძღვრას. ამ საზოგადოებაში „ღონისძიებებს“ მხოლოდ უფალი ატარებს...

***

სულისა და ნივთიერ მოძრაობათა ზუსტი ინფორმაციის მატარებელი არის უმაღლესი აზროვნება – ღმერთი, ჩვენ კი – მისი დამანაწევრებელ-განმაცალკევებელი მჭვრეტელთაგანი...

***

ჩაკეტილობა სულისა მატერიაში განაპირობებს სწრაფვას, ადამიანის სულისკვეთებას – დაიხსნას მისი სული, რაც იმთავითვე დამვებულია... წინააღმდეგ შემთხვევაში სული მკვდარია ან გაყინული...

***

ადამიანის გონება არის ღვთის სხივფენილობის გამოვლინების ადგილი და აქვს ის შესაძლებლობები, რაც მის არსშია ჩადებული...

***

დიდი ავადმყოფობის გადატანის შემდეგ, ხშირად, სხეული (იმუნიტეტი) ძლიერდება, ასევე, დიდი სულიერი ტკივილის გადატანის შედეგად, სული იწმინდება.

***

რადგან უფალი შეგრძნებებში გვაქვს – მაშასადამე არსებობს!

***

ზოგჯერ, ადამიანს უკვირს, თუ რატომ მოუვლინა უფალმა ესა თუ ის განსაცდელი. უფლის დიდ კანონზომიერებებს ვერავინ ჩაწვდება. შეიძლება ადამიანმა პასუხი აგოს არა მარტო ჩადენილ ცოდვებზე, არამედ იმაზეც, რაც უნდა ჩაიდინოს, – განზრახული და განსაზღვრული აქვს, რისკენაცაა მიდრეკილი და რომლის სისრულეში მოყვანა დაუოკებელი ვნებებით და ჟინით უნდა რომ განახორციელოს.

***

წინასწარმეტყველებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რაც მათ უნდა სცოდნოდათ. ბევრი რამ მათთვისაც დაფარული იყო. ხოლო რაც იცოდდნენ, იქედან ბევრი რამის საიდუმლოდ შენახვის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდნენ...

***

როგორც მცენარე ასახვაში იმყოფება მზესთან, ასევე, ჩვენ ასახვაში ვიმყოფებით უფალთან. ყოველი ცოდნა, რაც ადამიანმა შეიძინა, უფლის ნაბოძებია და მას შესაბამის დროს შესაბამისი გამოყენება სჭირდება. მხოლოდ ჭეშმარიტი ინტუიციური ძაფებით უნდა ვიყოთ უფალთან დაკავშირებული და არა ამპარტავნებით ან ფანატიზმით. ჩვენი უმეცრებით არ უნდა დავემგვანოთ ჩრდილში გადარგულ მცენარეს, რომელიც მზესთან ურთიერთობას წყვეტს და მსხმოიარობას აჩერებს.

***

გაკაფე და გაათავისუფლე სულის სამზირალი.

***

იმის გამო, რომ ადამიანს უფლის არ სწამს, ბევრ ხიფათში და გაუგებრობაში ვარდება...

***

ზოგჯერ ადამიანი ცდილობს, რაც მისი გონებისთვის მიუწვდომელია, საიდუმლოების საბურველში გაახვიოს, – საკრალურ ნივთად მიიჩნიოს და თაყვანის ცემის საგნად აქციოს. ეს

თვისება ადამიანს მრავალჯერ აგდებს წინააღმდეგობებსა და გაუგებრობაში.

***

მსუბუქი ყოფაქცევის ქალები გრძნობისმიერი მიმნდობლობით გამოირჩევიან. ეს „მიმნდობლობა“ ასაკის მატებისას გარდაისახება ინტუიციურ მიმნდობლობად. ძალზე ხშირად, ისინი უფლის გზაზე აღმოჩნდებიან ხოლმე... ამიტომ არ ინდომა უფალმა ფარისევლების მიერ მოყვანილი მრუში ქალის ჩაქოლვა და არ განსაჯა ის, მხოლოდ გააფრთხილა – ამიერიდან არ შესცოდოო. ფრთხილად იყავით ასეთი ადამიანების განკითხვისას. შესაძლოა, მრავალთა არამიმტევებლობა, არაჰუმანურობა და სხვა არაადამიანური თვისებები, ცოდვების შეჯამებისას, მრავალგზის აღემატებოდეს ორივე ზემოთ ხსენებულ „მიმნდობლობას“.

***

იტრიალე საზოგადოებაში, იყავი აქტიური, მაგრამ დაიცავი შენი შინაგანი სამყარო შელახვისაგან... იყავი იდუმალი და მიუწვდომელი მრავალთაგან. გაენდე მხოლოდ ღმერთს, რადგან ჩვეულებრივი მოკვდავი ისე ვერ გაიზიარებს შენს ტკივილებს, როგორც უფალი.

***

სამყაროში საგნები უკუნეთ ღამეშიც ბრუნავს და თავის მისიას ასრულებს, მაგრამ შენ, ადამიანო, ნათლის გარეშე, სიბნე-

ლეში, უფუნქციო და მიუსაფარი ნუ დაკარგავ დროს – იარე სინათლის გზით.

***

ურწმუნო ადამიანები ემსგავსებიან სივრცეში მიმოფანტულ ქვებს, რომლებიც ბუნებაში მართალია აისახებიან, მოძრაობენ მიზიდულობის კანონით, როგორც სხვა საგნები, თუმცა მიზიდულობა, სიყვარული და რეფლექსია ღვთაებრივი არსისა არ გააჩნიათ.

***

მზეს, როგორც სიცოცხლის გამოულეველ წყაროს, მხოლოდ ადამიანი ანიჭებს მნიშვნელობას, უფალს მხოლოდ ადამიანი ჭვრეტს...

# მეცნიერება და ტექნოლოგიები

***

ადამიანის ცოდნას სამყაროს შესახებ კითხვითი ნიშნის ქვეშ ვაყენებ...

***

საინტერესოა, მიკრო და მაკროკოსმოსით გატაცებული ფიზიკოსები (რომლებმაც არაერთი ვნება მოუტანეს მსოფლიოს), რატომ არ უფრთხილდებიან სიცოცხლეს დედამიწაზე, რომლის ანალოგი კოსმოსში ვერ იპოვეს...

***

მეცნიერული აღმოჩენიდან მის გონივრულ გამოყენებამდე წარღვნას უნდა ველოდოთ.

***

აინშტაინისთვის შთაგონების წყარო მუსიკა იყო. ამ დროს იხსნებოდა ზეცნობიერების არხები, – მისი დახშული ტოტები; მუშაობას იწყებდა ზეინსტინქტები – ინტუიციური გზები, – მეცნიერული მუშაობის მთავარი საშუალებები...

***

მეცნიერი, რომელიც სხვისი დაკვეთით მუშაობს, თავის შესაძლებლობებს ვერ იყენებს და თავის შეხედულებებს სათანადოდ ვერ აყალიბებს...

***

მეცნიერების უზუსტესი გამოთვლები აზრს კარგავს სტიქიონების და კატაკლიზმების წინაშე.

***

მხოლოდ, ბუნებასთან დახვეწილი თანამშრომლობა შეიძლება გახდეს მეცნიერული მიღწევების წარმატების და მისი გონივრული გამოყენების საწინდარი.

***

ადამიანის გენზე მანიპულირება რომ საშიშია, მეცნიერები მალე დარწმუნდებიან ამაში...

***

მეცნიერი, ჩემს წარმოდგენაში კარგახანს ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ იყო გენიოსი, ბუმბერაზი, დიდბუნებოვანი, ჰუმანური და მისაბაძი. ამ გულუბრყვილობამ საკმაოდ გვიან გამიარა, როცა მივხვდი, რომ ის შეიძლება იყოს გულზვიადი, ამბიციური, ვერაგი, ბოროტი, ცალმხრივად განვითარებული ფსიქოპატი, არაჰუმანური, უღვთო და ქვეყნის დამაქცევარი... ამ მოსაზრებას განამტკიცებს, თუნდაც, აინშტაინის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლებში თავისი ნაშრომები გაანადგურა... თუმცა, თავის „მოღვაწეობას“ საკმაოდ გვიან დაუსვა წერტილი... სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: „არცერთი მიზანი არ არის ისე ამაღლებული, რომ უღირსი საშუალება გაამართლოს მის მისაღწევად.“

***

ცოდნა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, ვარსკვლავთსიმრავლისაა და ვარსკვლავებივითაა მიმოფანტული.

***

მეცნიერებს – ნილს ბორს, აინშტაინს, რეზერფორდს, კიურის და ა. შ. – ჩვენ გენიოსებს ვეძახდით, არადა, ბრმად გატაცებულები თავისი იდეებით, ცხვირწინ ვერ იყურებოდნენ. მათ, დაუთოკავი ატომური ენერგიები ავანტიურისტებს მისცეს ხელში სამართავად, რითაც მსოფლიო საშიშროების ქვეშ დააყენეს... ეს არ არის გენიოსობა – ეს ცალმხრივობაა, რაც ღუპავს ადამიანს. ისინი „სიფრთხილის ზომებს" რასაც ეძახდნენ, ცოტა სასაცილო აღმოჩნდა ატომური ენერგიების წინაშე...

***

რაც არ უნდა ვიმანიპულიროთ ადამიანის გენზე, დაშვებულობის საზღვრებს ვერ გავცდებით. შეცვალოს უდიდესი კანონზომიერება – ეს უსუსური მცდელობაა ამბიციური ადამიანისა. თავად გენს აქვს იმდენი შესაძლებლობები, – კავშირები და უკუკავშირები, რომ ადამიანმა, ჯერჯერობით, მას თავი-ბოლო ვერ მოუნახა. ადამიანის გაუცნობიერებელი მოქმედების შემთხვევაში გენი და მისი კომბინაციები განეწყობა იმდაგვარად, რომ აამუშავებას მასში ფარულად მყოფი თვითგანადგურების ინსტინქტს, რომელიც დაასრულებს ადამიანის არსებობას (და ეს დაშვებული იქნება...).

***

გენეტიკურ სფეროში მუშაობა შეიცავს იგივე საშიშროებას, რაც ატომურ ენერგიებზე. ამის გააზრებამ მეცნიერები აიძულა შეკრებილიყვნენ და დაესვათ საკითხი, საერთოდ ხომ არ შეჩერებულიყო ადამიანის გენზე მუშაობა და მანიპულირება.

***

ტექნოლოგიებით და ატომური ენერგიებით აზროვნება შეუძლებელია, არც საზრდოდ და საკვებად გამოგვადგება ის... დღეს საჭიროა აზროვნების მოკრება იმისათვის, რათა ჩვენივე გამოგონებული, კატაკლიზმებად თავს არ დაგვატყდეს უახლოეს მომავალში...

***

ტექნოლოგიების გამალებულ დახვეწა-განვითარებას სჯობს, შეგრძნებები გავიუმჯობესოთ, რომელიც ყოველარსის შეგრძნებას დაგვაახლოვებს, რაც დაგვეხმარება, ტექნიკური პროგრესი ზომიერების ჩარჩოებში მოვაქციოთ და მისი პროდუქტი კეთილგონივრულად გამოვიყენოთ.

***

ძალიან საშიშია მეცნიერება, რომელიც ბოროტებას ემსახურება. შესაბრალისია ის მეცნიერი, რომელიც აღტკინებულია თავისი გამოგონებით, არადა, ამ დროს გააზრებული არ აქვს, რა მოყვება მის „შემოქმედებას“.

***

ბოროტება, როგორც საკენკი, ისე იტაცებს კაცობრიობის ახალ მიღწევებს...

ჩვენ ეს „საგნები“ (თანამედროვე ტექნოლოგიების ნაწარმს ვგულისხმობ) უბრალოდ შეგვხვდა-წავაწყდით ჩვენი დაუოკებელი ინტერესის გამო, მათი ჩხრეკა-დაშლა და აწყობა დავიწყეთ და ამ ბავშვურ თამაშში მათი არსი და მნიშვნელობა ვერ შევაფასეთ... მეჩვენება, რომ ნატოს ჩრდილოეთ ალიანსი პატარა ბავშვების გროვაა, რომელსაც „კაცობრული“ მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა არ შეუძლია...

***

ფსიქოლოგია არის დარგი, რომლითაც უნდა ინტერესდებოდეს ყველა განათლებული ადამიანი.

***

ფსიქოლოგია არ უნდა განიხილებოდეს ჩაკეტილ სისტემად, კერძო მეცნიერების თემად. დღეს, როგორ არასდროს, საზოგადოებას სჭირდება თემები, რომლებიც წარსულის გამოცდილების შეგრძნება-გაზრება გადამუშავებით, მომავლის სწორად განჭვრეტით და წვდომით ადამიანებს ადამიანური საზოგადოების შენარჩუნებასა და თავად სიცოცხლის იდეის განხორციელებასა და გადარჩენაში დაეხმარება, რაც ხელს შეუშლის ფუტურისტულ-ტრანსგრესიული იდეების შემცველი წარმოსახვებით ადამიანის აზროვნების გაჟღენთვას, რომელიც, საბოლოო ჯამში, ნორმალური აზროვნების მადეპრესირებელ-მარეგრესირებელი

იდეოლოგიის ფორმას მიიღებს; ამ ნიშნით ბუნებრივ-ლოგიკური განვითარების წესს დაარღვევს და ადამიანური ფენომენის გაქრობას გამოიწვევს...

ფსიქოლოგია, კარგა ხანია, გაყინულ, უსარგებლო, განყენებულ – ჩარჩოში მოთავსებულ მეცნიერებად მოიაზრება. მიმაჩნია, რომ დღეს მსოფლიოში არის მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს კაცობრიობის ნააზრევის დახვავებული მადნეულის ნაყოფიერ და სასარგებლო გადამუშავებას და არა მისგან „ერთი მუჭა მასისათვის" საჭირო პროდუქტის მიღებას. ასეთი მიდგომები ძალიან დააზიანებს ამ დარგს და, საერთოდ, აზროვნებას.

ფსიქოლოგია უნდა ცოცხლობდეს, აზროვნებდეს, ვითარდებოდეს და აქტიურად ისახებოდეს საზოგადოებრივ აზროვნებაში. ეპოქალური აზროვნების სარკეში ის იმდაგვარად უნდა იცქირებოდეს, რომ იქედან დეფორმირებულ გამოსახულებას არ იძლეოდეს, პირიქით, სინამდვილის მძაფრი განცდით და გათავისება-ინტერიორიზაციით მომავლის სწორ რეფლექსიას უნდა ახდენდეს.

# პოლიტიკა

***

იმ დროს, როდესაც აღტკინებული ბრბო პოლიტიკურ სას-წაულებს ტაშს უკრავს, რაციონალური გონება ტყუილების გამოაშკარავებითაა დაკავებული.

***

ჩვენი ერი რომ შეკრული ერი იყოს, მიზანს ყოველთვის მიაღწევდა, მაგრამ დონორებისა და სისხლის გადასხმის გარეშე ერთმანეთს დავჭამთ...

***

პოლიტიკური ძალა არაა ის ძალა, რომლის მოღვაწეობა სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან – მის შინაარსთან ახლო არაა. სახელმწიფოებრივი შინაარსი კი ეს არის:

1. ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა-დაცუ-ლობა.

2. დემოგრაფიული სიმრთელე-სიჯანსაღე.

3. სწორი და მკაფიო იდეოლოგია, რომელიც ხალხს ერთი მიზნისკენ დარაზმავს.

ამ პუნქტების შინაარსში ძევს მთლიანად სახელმწიფოს რაობა, ამან უნდა განსაზღვროს წარსული, ახლანდელი და მომავალი პოლიტიკოსების და სახელმწიფოს მოღვაწეობა და

შეფასება. ის პოლიტიკოსები და სახელმწიფოები, რომლებიც ამ პუნქტების დაცულობას ვერ უზრუნველყოფენ, შეფასებითი შკალიდან საერთოდ უნდა გაქრნენ. თუ ამის მიხედვით განვსჯით 90-იან წლების შემდგომ ჩვენს მდგომარეობას, საქართველოში პოლიტიკოსები, მით უფრო, სახელმწიფო არ ფუნქციონირებდა!..

***

ნებისმიერი პოლიტიკური მანქანის მიერ, მალფუჭებადი – პერცეპტული (ზედაპირული) აღქმის სტერეოტიპების სერიული გამოშვება კრახით დამთავრდება.

***

ადამიანებს ჯერ წაართვა ძირითადი უფლებები და მერე გამოგონილი უფლებები შესთავაზო, – ეს არის მარაზმი...

***

დროა, ვაღიაროთ 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ქარაფშუტობა...

***

ერთსქესიანთა ქორწინების და მათ მიერ შვილად აყვანის დაკანონებით, გერმანიამ, როგორც ქვეყანამ – საზოგადოებამ, თავისი თავი დაასაჭურისა. ეს არის კულტურისა და ცივილიზაციის დასრულებულად გამოცხადება და ამის აღიარება.

***

ძლიერმა სახელმწიფოებმა ძალაუფლების კონცენტრაცია იმდაგვარად მოახდინეს, რომ მათ ხელშია არათუ ცალკეული ადამიანების და სუსტი სახელმწიფოების ბედი, არამედ ჩვენი პლანეტის ბედიც.

***

ახლა საჭიროა ნიღბები ჩამოვხსნათ საშიშად მოთამაშე პოლიტიკოსებს, ქვეყანას სჭირდება სიბინძურის ჭაობიდან ამოთრევა და გონივრულად მოაზროვნე ადამიანთა მხრიდან ქვეყნის აყვავებაზე ზრუნვა.

***

პოლიტიკურ ძალად არ ჩაითვლება ის ძალა, რომელიც სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან ახლოს არაა.

# საზოგადოებრივი სტრუქტურა და საზოგადოებრივი აზროვნება

***

სხვადასხვა სტრუქტურის, მაგრამ ერთი და იგივე სეგმენტებისაგან შემდგარი სფერო არის საზოგადოების მუდმივობის ფორმა, ამ სეგმენტების რაოდენობა და ფორმა მუდმივია. სფეროს გააჩნია მცირედი პლასტიკურობა... შეიცვლის რა ფორმას, უბრუნდება საწყის მდგომარეობას...

***

ბუნებაში ასახვა და საზოგადოების ცნობიერებაში ჩასახვა კანონზომიერებითი პროცესია.

***

საზოგადოებაში როცა დამნაშავის მიმართ დასჯაზე მეტად მიტევების მოთხოვნილებაა, უნდა ჩავთვალოთ, რომ შემდგარ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე, თუმცა ამისათვის, პირველ რიგში, დანაშაულის ჩამდენის სინანულია საჭირო. სხვა შემთხვევაში უსამართლობასთან გვექნება საქმე და არც უფლის ნება აღსრულდება.

***

გაბატონებული შეხედულებების წინააღმდეგ, საპირისპირო აზრების დაშვების გარეშე, სინამდვილე შეუცნობელი დარჩებოდა...

***

ისევე, როგორც საკვებით, ადამიანები იკვებებიან და იზრდებიან ერთმანეთის აზრებით...

***

საზოგადოებრივ მენტორზე ნაკლებად რეაგირებადნი და მეამბოხენი, ვინ იცის, მომავალში შეიძლება კაცობრიობას მხსნელებად მოევლინონ...

***

ერთეულთა მცდელობას, გამოეღწიათ საზოგადოებრივი აზროვნების ნაჭუჭიდან და თავიანთი გარდასახვებით შეეცვალათ სამყარო, უშედეგოდ არ ჩაუვლია. მათ სურვილებს და მისწრაფებებს შეესხა კიდევაც ფრთები, მაგრამ ამას დიდი ტკივილების გარეშე არ ჩაუვლია ...

***

უცნაური აზრი, რომელიც თავში მოგივათ, შეიძლება იყოს ცრუ ან ჭეშმარიტი, თუმცა ორივე თანაბარ-საინტერესოა ამ საზოგადოებისათვის...

***

ნივთთა და საგანთა გაფეტიშება, როგორც არასდროს, დღევანდელი საზოგადოების წესია.

***

თავზევითა ძალას ხშირად, განზრახ ან შეცდომით, ანაცვლებენ პიროვნული ან საზოგადოებრივი იდეაციით. იდეოლოგიური მანიპულირებით იმდაგვარად მართავენ ადამიანებს, საზოგადოებებს თუ მასებს, რომ საკუთარი სიცოცხლის - მთავარი ბიოლოგიური არსის წინააღმდეგაც ამხედრებენ მათ... ეს საშიში მოვლენაა, თუმცა, კანონზომიერებასაც შეიძლება მივაკუთვნოთ, რომელიც, ვინ იცის, რატომ შემოგვთავაზა ბუნებამ...

***

ადამიანთა საზოგადოებებისთვის, მნიშვნელოვანი საკითხების გაშიშვლება კი არ იყო მიმზიდველი, მისი შეფუთვა-შელამაზება იყო მთავარი დაკვეთა...

***

სტანდარტული – დაშტამპული აზროვნება გონებრივი განუვითარებლობის შედეგია...

***

როცა ფსიქიკურ დაავადებებს განვიხილავთ, თავისუფლად შეიძლება ვიმსჯელოთ ე.წ. „დეფექტურ“ გენებზე. ასეთ გენეტიკაზე გაშლილი ცნობიერება განსხვავებულია ჯანსაღი გენის მატარებელი ადამიანის ცნობიერებისაგან; ამ შეუსაბამობის გამო, შეიძლება ვისაუბროთ გენის მიზანშეუწონელ ასახვაზე; გენის მიზანშეწონილ, ასევე, არამიზანშეწონილ ასახვას,

სავარაუდოდ, საზოგადოებრივი სტრუქტურისა და ფორმის მუდმივობის (შენახვის) კანონები აწესრიგებენ...

***

ზედმეტი ფანტაზიები, ზოგჯერ, ადამიანების განადგურების საშუალებებს წარმოშობენ.

***

საზოგადოებრივი აზრის „მაზომბირებლები" არაფერს ზოგავენ სახელმწიფოს იერარქიული შტოების, ასევე ე. წ. ჟურნალისტების მიერ ახალი მომწამლავი იდეების გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის, რომლებსაც დროდადრო ახალ-ახალი „სალაფავით" უმასპინძლდებიან...

***

მასამ საზოგადოებისა, რომელიც ხშირად ტრანსგრესიულ-ფუტურისტულ-ავანგარდისტული აზროვნების მსხვერპლია, კაცობრიობის ისტორია კარგად რომ გადაათვალიეროს, ამ აზროვნების ზემოქმედებას არ დაემორჩილებოდა; საზოგადოებრივი გაუცნობიერებლობა არის ავანტიურისტთა გამარჯვების მიზეზი და საწინდარი...

***

საჭიროა მსოფლიო აზროვნების სწორი რეფლექსია ბუნებრივი გარდაუვალობის წინაშე...

***

დღეს, მსოფლიოთ აზროვნებაში კრიზისია. საკითხები, რომლებიც დაგროვდა, კომპეტენტურ ახსნას საჭიროებენ, ფაქტები – გაანალიზებას და სათანადო რეაგირებას. გადაუჭრელი საკითხები – დროულ დარეგულირებას. ეს ყველაფერი საჭიროა არა ისე, უბრალოდ, არამედ „მთავარი აზრის“ – სიცოცხლის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად დედამიწაზე...

***

გარემოს პირობების კატაკლიზმურმა დარღვევამ გენეტიკური დარღვევები და სქესთა აღრევა გამოიწვია მოკლე დროში. სავარაუდოდ, ასახვის კანონებიდან გამომდინარე, თანდათან მოხდება აგრესიულ – დესტრუქციული გენების გაცხრილვა, მას ჩაენაცვლება ხელოვნებისა და მხატვრულობის მატარებელი „ჰარმონიული გენები“, რაც შესაბამისად აისახება საზოგადოებრივი სტრუქტურის ფორმაში...

***

გლობალური სულიერი მგრძნობელობის აღმოცენება, დიდი პასუხისმგებლობაა კაცობრიობის წინაშე, ეს არ არის უფლება ტვინის, ფსიქიკა-ქცევის მარეგულირებელი ერთიანი მანქანის გამოგონებისა...

***

ერთი დღის, ერთი საათის, თუნდაც ერთი წამის შემდეგ მსოფლიო ის აღარ არის, რაც იყო. ადამიანის უმრავლესობას არ ძალუძს მიჰყვეს მსოფლიოს ცვლილებებს და საკმაოდ მოძველებული ყოფით აგრძელებს ცხოვრებას.

***

როდესაც ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირი და არავის ესმის... როდესაც იდეოლოგიური მანქანა საკუთარ არასრულწლოვან შვილს ხელიდან გტაცებს, საზოგადოებას არავითარი ბერკეტი არ გააჩნია ნორმალური აზროვნების, ცხოვრების, ჯანმრთელობის და თვით სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ასეთი საზოგადოება განწირულია კრახისათვის.

# ხელოვნება და ინტელექტუალური მოღვაწეობა

***

ჭეშმარიტი შემოქმედი საკუთარ შეხედულებებთან და პოზიციებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში აყალიბებს ახალ იდეებს...

***

სიმბოლოთა ენა ხელოვნების, მისი გარდასახვების დაუშრეტელი წყაროა, კოსმიური ზემოქმედების და ასახვის მრავალმოდელიანობის შედეგს წარმოადგენს; ამ მრავალგანზომილებიან სისტემაში ყველა ადამიანი ექცევა, რომელთაც სულ სხვადასხვა შინაარსი გამოაქვთ, რაღაც ინდივიდუალურ-კოდური სხვადასხვაობის შესაბამისად.

***

აღიარების მოსაპოვებლად შემოქმედებაში მთავარია, წერო ლამაზად – სიმართლე ნაკლებად საინტერესოა... იქნებ, ლამაზად წერაა სიმართლე...

***

მკითხველს, ნაწარმოების ავტორის მსჯელობა, თუ ის ღირებულია, უნდა ეჭეშმარიტებოდეს... ახალი მსჯელობა ისე უნდა მიიღოს, თითქოს ის იყო, არსებობდა და თავისი ადგილი ეჭირა, მაგრამ მან რატომღაც ეს ვერ შეამჩნია...

***

როდესაც ადამიანი ნაბიჯებს დგამს ჭეშმარიტ ხელოვნებაში, იგი სვლას იწყებს ღმერთისკენ...

***

პოეტურ ქმნილებებში ჩაწერილია მელოდია, ისევე, როგორც მელოდიაში ჩაწერილია აზრი...

***

ჭეშმარიტმა შემოქმედმა, იცის რა, არსებობს უმაღლესი ხელოვნება, თავის შედევრს არ მიიჩნევს უმაღლეს ქმნილებად – დღითი დღე ხვეწს გამომსახველობას უმაღლეს ხელოვნებამდე ასაყვანად.

***

პოეზიის მსახურთ ერთნაირი წარმოსახვები და წარმოდგენები რომ აქვთ, არც გასაკვირია, ისინი ხომ ერთნაირად „დასნებოვნებული" არიან...

***

მხატვრული ხელოვნება იყენებს რითმს, თუმცა რითმიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მხატვრულ აზროვნებას...

***

ზოგ პოეტს და მწერალს არნახული მადა აქვს – არა მარტო შემოქმედებაში...

***

პოეტები, მწერლები, ხელოვანები თავიანთი შემოქმედებით – მხატვრული ნაწარმოებებით, ერთ მთლიან ღირებულებით სისტემას ქმნიან. განსხვავებულ შეხედულებათა დაპირისპირებაში ეპოქა უფრო რეალურად ხასიათდება.

***

თითქმის იშვიათია ხელოვანი – ავტორი, ჰარმონიაში იყოს თავის ქმნილებასთან...

***

ხელოვანს, თავისი შემოქმედებით, მხოლოდ ელფერ-ტონი შეაქვს მრავალფეროვან გამაში; შეუძლებელია, ერთი ადამიანის ნააზრევმა აზროვნება ამოწუროს... ყველა თავ-თავის ადგილზე და ყველაფერი ერთად ბადებს სრულყოფილებას...

***

მხატვრული შემოქმედების ტილო-ნიმუში, სულიერ ზესვლაში იქმნება, რასაც შემოქმედი ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში სრულიადაც ვერ აფიქსირებს და არც მისი ცხოვრების „ნიმუშია“ უბიწო...

***

თუ მწერალი რომელიმე მთავრობის ლაქიაა, იგი ხელოვნების უანგარო მსახური ვერ იქნება...

***

ხელოვნების ნიმუშის ავტორი – მისი პიროვნება, ზოგჯერ, გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება თავისსავე ქმნილებასთან; თითქოს მან ეს ქმნილება სრულიად გაუცნობიერებლად გადმოიტანა – გადმოხატა, მისთვის უცნობი და შეუთავსებელი განზომილებიდან...

***

წერის სტილი – აზროვნების, მეტყველების, მსჯელობის მანერა, – ზოგადად, გამოხატვის საშუალებათა ნაზავია...

***

მკითხველი ავტორმა თავის სამყაროში უნდა შეიყვანოს, აჩვენოს თავისი გემოვნებით დალაგებული საგნები. ახსნას ხერხები – რატომ დაალაგა ასე და არა სხვაგვარად; რა უპირატესობა აქვს ახალ სტილს ძველ, ტრადიციულ ხერხებთან შედარებით და ა. შ.... რაც მთავარია, ახალი გემოვნება უნდა ჩამოუყალიბოს მას...

***

მკითხველს მოხერხებული ცოდნით, ან ინტუიციის საშუალებით მაინც, უნდა შეეძლოს შენს ნაშრომს მიუდგეს...

***

როგორი უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები? – მიზნის, ეფექტის, სილამაზის განცდით; უზადო გადმოცემის უნარით –

ერთი ენობრივი სტილით; თანმიმდევრული, კომპოზიციურად შეკრულ-ერთიანობაში მყოფი; ერთი პათოსით ორგანიზებული, – როგორც ლამაზად გაფორმებული ქსოვილი.

***

არის რაღაც აღმატებული, რასაც ვერ წარმოაჩენ, ვერ აღწერ – სიტყვები არ გეყოფა ამის გამოსახატავად, და თუ შეეცდები აღწერო, – ძალიან უფერულდება და უბრალოვდება იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში არის...

***

თუ პოეზია თავისუფალი ფრენის და სივრცეების დაპყრობის ადგილია, პროზა ადამიანის ცხოვრების, მოღვაწეობის, აზროვნების ძირით-ძირამდე წვდომის და მისი მოხერხებულად გადმოცემის ასპარეზია.

***

დროის, განსაკუთრებული – ეპოქალური შეგრძნების განცდა და შინაგანი მდგომარეობის განსაკუთრებული იმპულსები განსაზღვრავენ ადამიანის ინტელექტუალურ მოღვაწეობას. ხანდაზმულ ადამიანს დასაშვებია, ეწვიოს „აღმაფრენა", თუ მისი ქვეიმპულსები და ზეცნობიერება შეთანხმებულად – ჰარმონიულად თანამშრომლობენ სიცოცხლის მთავარ არსთან და მიზანთან; თუ მისთვის სიცოცხლე უწყვეტი და გარდაუვალი ჯაჭვია უსასრულობის განზომილებაში. ასეთი ადამიანი უმაღლეს შეგრძნებათა გამოვლინებაში გრძნობს სიცოცხლის

უშრეტობას და მარადიულობას, რომელიც ავიწყებს წამიერ ტანჯვა-წუხილს. მის სწრაფვაში სულიერი ძალები მიმართავენ არსობით მიზიდულობას მარადიული და დაუსრულებელი სულიერი სივრცეებისაკენ, რომლის ფონზე ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებითი წვრილმანები სავსებით უფერულდება...

***

ლექსს კი არ უნდა ყვებოდე, უნდა გადმოსცემდე.

***

წერისას იმ საიდუმლოებებს ეზიარები, რასაც მწერლები – შემოქმედნი თავისი შრომის და მოღვაწეობის პროცესში ეზიარებოდნენ და, კიდევ, რაღაც უფრო მეტსაც...

# კულტურა, ერი, ტრადიცია

***

„კულტურას", რომელიც ადამიანს მორალურ-ზნეობრივ სახ-ეს არ უნარჩუნებს, ვერ მივიჩნევთ კულტურად...

***

ჩვენი აზროვნება და მენტალობა, მიხრა-მოხრა, მანერები, ჟესტები, გამომეტყველება – ნიღბად ქცეული ჩვენი მიმიკა, ეს არის „კულტურის დაღი", რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

***

კულტურა, რომელიც ზნეობასთან კავშირს ვერ ამყარებს, კრახს განიცდის.

***

კულტურა მისივე წარმომშობი საზოგადოების არსებობას და სიცოცხლისუნარიანობას უნდა გულისხმობდეს...

***

ადამიანების მორალურად გამხრწნელი და ფიზიკურად გამანადგურებელ-გადამგვარებელი „კულტურები" კრიზისს გან-იცდიან და, საბოლოოდ, დასაღუპად არიან განწირულნი...

***

არსებობს კულტურათა, ისევე როგორც იდეათა, განმწმენდი – ჰიგიენურად დამამუშავებელი საშუალებები, რომლის გამომგონებელი ზოგადკანონზომიერებითი მოძრაობის გამომწვევი ძალებია.

***

კულტურა იმდენად გვჭირდებოდა, რამდენად იგი ჩვენი არსის შინაარსს შეესაბამებოდა – მისი მოთხოვნიდან წარმოიშვებოდა; გარდასახვათა პრიზმებს გაივლიდა და ასევე, კიდევ სხვა გარდასახვებით უკან გვიბრუნდებოდა.

***

კულტურის ფენომენი ზოგადგანსაზღვრულობათა – მისი არსის გამოვლენის შესაძლებლობაა.

***

ადამიანი, დღესაც კი, ველურად იბადება, რომლის ცარიელ გონიერების საწყობში ამჟამინდელი სოციალურ-კულტურული გემოვნებით დალაგებულ ფირებს ვალაგებთ. ხშირად გვავიწყდება, ეს „ველური“, მომავლის ადამიანი რომაა: ის ამ ჩალაგებულ ფირებს ხელახლა აწყობს და ალაგებს და სრულიად განსხვავებულ კულტურულ ღირებულებებს ქმნის.

***

მსოფლიოს ყველა კულტურა მისაღებია ჩემთვის. უკულტურობა, – არც ჩემი და არც სხვისი.

***

ერი სულიერების კრისტალიზაციით მიღებული, პულსირებადი, სიცოცხლისუნარიანი ბირთვია, რომელსაც გულისცემად შეიგრძნობს ერის ჯანსაღი ორგანიზმი.

***

ის კი არ უნდა ვეძებოთ, როგორ ან რატომ გაბრწყინდება საქართველო, არამედ – თუ ეს გვწამს – უნდა გავამართლოთ ეს გაბრწყინება ჩვენს სულებში.

***

ჩვენ, ჩვენი მოჩლუნგებული კუნთებით და გონებით გაგვიჭირდება ერის გამთლიანების – ისტორიული ხატისა და მოწოდების შესაბამისი მისია შევასრულოთ. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა გავკურნოთ ჩვენი სხეული კუნთოვანი დისტროფიისაგან, გონება – ათასგვარი პათოლოგიური წარმოსახვებისაგან.

***

ტრადიციული სუფრა საქართველოში ერთგვარი რაინდობის, მამაკაცური ღირსებების წარმოჩინებისა და გადათამაშების სიმბოლური ასპარეზია, რომელიც კარგი გაგებით სიბრძნის ადგილია, ცუდი გაგებით ღრეობაა.

# აღზრდა

***

მოზარდი თაობა შემიძლია შევადარო მზის ამოსვლას. ვიდრე ის ამობრწყინდებოდეს და განათებას დაიწყებდეს, მას მოუხდება თავისი ენერგიის დათოკვა და დარეგულირება.

იცოდეთ, თქვენა ხართ მზის უძლიერესი ენერგიის მატარებლები, რომლის საზღვრებში მოქცეული ზომიერება განაპირობებს „უმშვენიერეს სიცოცხლეს" დედამიწაზე.

***

ბავშვი რეალურობის საზღვრებში უნდა იზრდებოდეს. თავისი სახლის კარიდან გასული, იგი უამრავ აგრესიას წააწყდება. აგრესიის სტერილიზაციის ჩატარებას ნუ შევეცდებით.

***

შვილები უხილავი ძაფებით უნდა მივიბათ და არა ჯაჭვებით... ჯაჭვებს ადვილად წყვეტენ, ძაფებს კი ვერ ამჩნევენ...

***

მოზარდის ასაკის შეუსაბამო გაცნობიერება – ცნობიერებითი ველის ზედმეტი გაფართოება (ჩვენი გადაჭარბებული მცდელობები) შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. ცხოვრების საზრისის

ძიება – ზედმეტი ჩაკირკიტება და მრავლად წარმოშობილი კითხვები – ხშირად ხდება მოზარდის იდენტიფიკაციის კრიზისის მიზეზი.

***

აღზრდა, უპირველესად, ბუნების სწორ შემეცნებას, მასთან სწორ კონტაქტს უნდა გულისხმობდეს და განაპირობებდეს.

***

ახალი თაობა ასპარეზზე ახალი მისიით გამოდის. ძველის გადაფასების მცდელობისას იმართება ჭიდილი, რომელიც კანონზომიერია. ამ დროს ორთავემ უნდა დაინახოს: ერთმა – გზა, რომელიც უნდა გააგრძელოს, მეორემ – გზა, რომელიც უნდა დათმოს!..

***

ცხოვრება უკეთ შეგუებულთა ასპარეზია...

სათბურში გამოყვანილი ჩვენი შვილები უკეთ შეგუებულთა რიცხვში არ შედიან.

***

ზოგჯერ ადამიანს ეზარება, გასწიოს ძალისხმევა, რათა საკუთარი პიროვნება აღზარდოს და მისგან რაიმე გამოიყვანოს. იგი სხვა პიროვნებებს ან ჯგუფებს აედევნება და გაუცნობიერებელ ურთიერთობაში მყოფი, მათთან არასწორი ასახვით ცდილობს, თავის პიროვნებას რაიმე შესძინოს, რაც, საბოლოოდ,

დამღუპველად მოქმედებს მასზე, – სხვა ადამიანების სურვილების აღმსრულებელ საშუალებად იქცევა ისე, რომ თავად ამას ვერ აცნობიერებს ან აცნობიერებს ძალიან გვიან, როცა უკვე სახეზეა პიროვნული კონფლიქტი.

***

საით წაიღებ შენს ტრაგედიას და ტანჯვას – ეს შენი საქმეა. უნდა ეცადო, ის სხვას არ გადაუნაწილო – განსაკუთრებით შვილებს.

***

გამოცდილებას ყველა თავისებურად იზიარებს (თუ იზიარებს საერთოდ...) გამოცდილება არ არის მყარი მოცემულობა. იგი შემოქმედებითად მიდგომას მოითხოვს. არ შეიძლება ყოველგვარი გამოცდილება მიაძალო მომავალ თაობას, რომლებიც სულ სხვა მიზნებისკენ არიან მიდრეკილნი...

***

მოზარდის ინტელექტუალური განვითარებისდაკვალად უნდა მიმდინარეობდეს მისი ფიზიოლოგიის და, ზოგადად, მასთან მიმართებით ფსიქოლოგიური პრობლემების გაცნობა. წინააღმდეგ ამისა, ცალმხრივად განვითარებული და გაუცნობიერებელი მოზარდი უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება სრულიად მოუმზადებელი, რაც მის ცხოვრებას ძალიან გაართულებს.

***

დასრულებული იდენტიფიკაცია ადამიანის სამოქმე-
დო სქემად – პარადიგმად გვევლინება, რომელიც დროთა განმავლობაში გაძვალებას განიცდის, თუმცა ადამიანის ინ-
ტელექტიდან, გენეტიკური განწყობილებიდან და ღვთიური მადლიდან გამომდინარე, გამონაკლისებიც არსებობს, როცა გონების საცეცები დაუსაბამოდ იზრდება და ელასტიურობას არ კარგავს.

# ახალგაზრდობა

***

ახალი თაობა განსაკუთრებული ცოდნით და ენერგიით გამოდის ასპარეზზე, რაც ძველი თაობისთვის ზოგჯერ გაუგებარი და მიუღებელია. მათ აქვთ მიზანსწრაფულობა და მომავლის ზედმიწევნითი რეფლექსია. ისინი გზადაგზა ასწავლიან და „აცნობიერებენ" კიდევაც ძველ თაობას. „შეიგნებს" რა ძველი თაობა ცვალებადობის გარდაუვალობას, ახალი თაობა ამის შემდეგ უბრუნდება ძველის ყალიბს...

***

ახალგაზრდული მგზნებარება – დაურეგულირებელ-დაუთოკავი ენერგია მაქსიმალიზმ-რადიკალიზმით, ავანტურულ-გაუცნობიერებლობით და ა. შ. ბევჯერ გახდა რადიკალური ცვლილებების მიზეზი და ეს ენერგია ბევრმა ტირანმა არაერთხელ გამოიყენა ავ საქმეთა აღსასრულებლად... დღეს ისლამური ფუნდამენტალიზმი სწორედ ამ ენერგიას იყენებს მსოფლიოს დასატერორებლად...

***

როდესაც მხოლოდ ინფორმაცია, ციფრები, ფული, დროსტარება ნთქავს ახალგაზრდის მთელ აზროვნებას – ეს ამორალური ცხოვრების ნაშთბია; თუ ისინი იმყოფებიან გაურკვეველი, გამაბრუებელი ზემოქმედების ქვეშ, უნდა ვთქვათ რომ ამ მდ-

გომარეობაში სწორედ საზოგადოების უმაქნისობის და უმოქმე-დობის გამო აღმოჩნდნენ...

ახალგაზრდები რომ შეცდომებს უშვებენ, ის კი არ არის დასანანი, არამედ, მშობლებსა და უფროსებში მისაბაძ მაგ-ალითებს რომ ვერ ხედავენ...

***

თანამედროვე ახალგაზრდებს აქვთ უნარი, დაიპყრონ მწვერვალები. ისინი განვითარებული და ინტელექტუალურები არიან; დარწმუნებული ვარ, მეტს გააკეთებენ და მიაღწევენ; მთავარია, გაუცნობიერებლად, სხვის ბადეში არ მოყვნენ; დიდი ენერგიით და ენთუზიაზმით სხვისი მიზნების უნებური შემსრულებლები არ გახდნენ... რაც მთავარია, პატივი უნდა სცენ საკუთარ ნიჭს, ინდივიდუალურობას და განუმეორე-ბლობას, რომელიც ყველაზე ძვირფასი, საინტერესო და დასა-ფასებელია ადამიანში.

***

ჩვენ არ ვიცით, ჩვენს შვილებს როდის არ მოუნდებათ ჩვენი უკადრისი ცხოვრება...

# დრო, მოდა, თანამედროვეობა

***

ერთი ნაბიჯით მაინც დაშორდი დროს – წინ ან უკან, რათა შეამჩნიო თანამედროვეთა ნაკლი.

***

წარსული აქანდაკებს, ხოლო მომავალი დამზერს – აკონტროლებს აწმყოს.

***

დროითი აზროვნება და დროის მიდევნება ინსტინქტადაა მოცემული, მარადისობისაკენ მიჰყავს და ღვთაებრივ ენერგიებში აღადგენს ადამიანის აზროვნებას.

***

ვისაც არ სჯერა, თანამედროვე ტექნოლოგიების არასწორი ექსპლოატაცია გადაგვარების საშუალება რომაა, ეს მისი გულუბრყვილობაა...

***

ზოგს ავიწყდება ერთეული მთელში რომ მდგომარეობს და ეპოქებს აჯამებს თავისი უარყოფითი ან დადებითი ნიშნებით და უსახავს მიზნებს, რომლებიც იმ დროში ვერ მოხერხდებოდა. გარდაუვალობის პრინციპი (ფენომენი) მოქმედებს ყველა დროში. „პატარა მონაკვეთი“, მხოლოდდამხოლოდ მთლიანის

ასახვის აუცილებლობის ნიშნითაა წარმოდგენილი (აღბეჭდილი)...

***

განვითარების სტადია, რომელშიც დღევანდელი მსოფლიო იმყოფება, საინტერესოა თავისი ფენომენებით. ის აუთვისებელია და საკმაოდ ნოყიერი, საიდანაც მრავალი სასარგებლო ნაყოფის მიღებაცაა შესაძლებელი...

***

ისტორიამ, არაერთხელ, დაადასტურა ფუტურისტული ავანგარდისტების, უტოპიური ქაოსის, ავანტურისტული „პროგრესის“ იდეა როგორ გადაიქცა რეგრესიად...

***

დააფასე წამი...

***

ხშირად დაიხედეთ ტანისამოსზე და იფიქრეთ: ეს პიჯაკი, კაბა, შარვალი ან სხვა რამ რისთვის გაცვიათ? ეს ვარცხნილობა და მორთულ-მოკაზმულობა რისთვის აირჩიეთ, ეს მანერები რისთვის გჭირდებათ? ხომ არ არის ისინი „მონობის ნიშნის“ მატარებელნი – ე. წ. „დაღი“?

***

როცა მოდა მონობის უღელს გთავაზობს, გამოიჩინე პრინციპულობა და ნუ დაიდებ მის უღელს.

***

თუ ხვდები, რომ მოდა მონობის უღელს გთავაზობს – კარგია. თუ თავმიცემული ხარ და ეთაყვანები ყოველივეს, რასაც მოდა გთავაზობს – მაშინ პრობლემები გაქვს...

***

ბავშვს, დამჯერ ასაკში (7-10 წლები) თუ ჩავუნერგავთ, რომ “მოდა“ ადამიანებს ბევრჯერ აბრიყვებს, ასაკობრივი კრიზისის პერიოდში (პუბერტულ პერიოდში), რეალურობის განცდით და საკუთარ თავთან წინააღმდეგობის გზით, შეეცდება, არ გახდეს ყველაფრის მონა, რასაც „თანამედროვენი“ სთავაზობენ მას.

# გრძნობა და ემოცია

***

გრძნობები და ემოციები სიამოვნება-უსიამოვნების ზღვარზე, ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სისტემის და სოციალური არსების მოძრაობის ფორმებში ჩაისახა და აღმოცენდა.

***

შემეცნებით პროცესებში გრძნობითი და ემოციური ტონალობა ადამიანური ფენომენისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ჩანასახის სახით იგი ცხოველებშიც მოიპოვება.

***

გრძნობები უაღრესად სუბიექტივირებული ობიექტური განცდებია.

***

ესთეტიკურ ემოციურ განცდაში ობიექტს თვისებები ადამიანის კატეგორიალურ-ფასეულობითი ღირებულებებიდან გამომდინარე მიეწერება და არა ამ ობიექტის თავისებურების მიხედვით.

***

ხშირად ჩვენი გრნობების და ემოციების აღქმის, გამოხატვის, აჟღერების საშუალებებს ვერ ვფლობთ და კიდევ დამატებითი

გრძნობების (ინტუიციის) საშუალებით დავეძებთ მათ გამოძახილს ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში.

***

მკვეთრი გრძნობები არის უხილავი საცეცების მქონე, რომლებიც უსაზღვროდ იზრდებიან და უსაზღვროდ გარდაიქმნ-გადაიჯაჭვებიან ერთმანეთში...

***

შენი აღმაფრენა სადღაც რომ მიგაქანებს, არ უნდა გაჯიუტდე...

***

აუშვი ემოციები, ნუ გყავს დაბმული, ოღონდაც, მყეფარა ძაღლს არ დაამსგავსო.

***

ემოციებს აწარმოებს ობიექტი – საჭირო მნიშვნელობით და აქტუალურობით და არა ზოგადად ამ ობიექტის შინაარსი.

# თავისუფლება

***

მიწიერ არსთა შესაბამისობაში მყოფი ადამიანის უფლება საზოგადოებრივ ურთიერთობაში ვლინდება. მისი ზღვარდაუდებელი სწრაფვა ამავე საზოგადოების ზეწოლით რეგულირდება. სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას კი, იგი სიყვარულის – მთავარი და ჭეშმარიტი არსის, დაუსრულებელ, უკიდეგანო სივრცეებში ახერხებს.

***

საზოგადოებაში თუ რამდენადაა ადამიანი თავისუფალი, ამის აღქმა მისი პიროვნული თავისუფლების ხარისხზეა დამოკიდებული. ბევრჯერ ადამიანს ურჩევნია, სხვისი ფრთების ქვეშ შეზღუდული თავისუფლება ჰქონდეს, ოღონდ, ასე თუ ისე, დაცულად გრძნობდეს თავს.

***

თუნდაც თავისი დამოუკიდებელი სივრცის მოპოვების და დამკვიდრების არნახული შანსი გააჩნდეს – ზოგიერთი ადამიანი თავის დამკვიდრებას, მაინც, სხვის სივრცეებში შეჭრით და მისი შეზღუდვით ცდილობს...

***

პოეტმა, მწერალმა, პოლიტიკოსმა, საზოგადო მოღვაწემ იმაზედაც უნდა იფიქროს, რომ ზედმეტად თავი არ მოაბეზროს ხალხს...

***

მსოფლიოს საგანძურშია შესატანი ყველა მოაზროვნე, შემოქმედი, მებრძოლი სულის ადამიანი, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებდნენ და ეწირებოდნენ თავისუფლების ძიების, მოპოვების და დაცვის კეთილშობილურ საქმეს.

***

ყოველი ადამიანის თავისუფლების ხარისხს – თავისუფლების შკალაზე, სხვადასხვა დონე განსაზღვრავს.

# თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა

***

თავმოყვარეობა – ადამიანის არქეტიპული (პირველსაწყისი) თვისებაა, რომელიც პიროვნული, შინაგანი სამყაროს დაცვის ინსტიქტებითაა ნაკარნახევი.

პატივმოყვარეობა – ახალი, შემდგომ შეძენილი, საზოგადოებაში გამომუშავებული – ამ საზოგადოების მიერ პიროვნებისადმი ღირსეულად თუ უღირსად მინიჭებული, ან თავად პიროვნების ფანტაზიებში და წარმოსახვებში არასწორი წარმოდგენებით, დაბალი თვითშეგნებით და თვითშეფასებით, უკრიტიკობის შედეგად ჩამოყალიბებული წარმოდგენაა, რომელიც წარმოშობს საგნებზე, ადამიანებზე, ადამიანთა ჯგუფებზე, ზოგადად სამყაროზე, არასწორი ფლობის მოთხოვნილებას, რაც, საბოლოო ჯამში, უსამართლობისა და დანაშაულისაკენ უბიძგებს პიროვნებას.

***

ზოგჯერ, გაამპარტავნებული, პატივმოყვარე ადამიანი როლის „გათამაშებას" იწყებს (ორმაგი თამაში), გამოჰყავს რა თავისი პიროვნება ასპარეზზე. ეს ხელოვნებაა, რომელიც უბრალო მომაკვდავთათვის მიუწვდომელია. თითქოს, ზებუნებრივი ძალების დახმარებით, ეს პიროვნება თავის იდეოლოგიას თავს ახვევს

მილიონებს... იწყება დასნებოვნება – ეს ვირუსის გავრცელებას ჰგავს და შეუძლია არა მარტო ზემოქმედება მასებზე, არამედ მათი განადგურებაც. ამ დროს წინააღმდეგობა ნულია. მხოლოდ შეუცნობელი ძალა „თვითგანადგურების ინსტიქტის პრინციპით“ ერთი მიმართულებით ამოძრავებს ამ პიროვნებას და საზოგადოებრივი აზროვნების ამ ფორმას.

***

თვითკმაყოფილების იმედზე დარჩენილი თავმოყვარეობა უგუნურებას ბადებს.

# ინტუიცია და ბედისწერა

***

ინტუიცია მდგომარეობს მოვლენების შემთხვევითი, დათი-შული ნიშნების გაერთიანებაში, რომელიც საგანთა ახლებური გაჩრების საშუალებას იძლევა; ადამიანის ინტერესიდან გამომდინარე, ზოგჯერ, ცნობიერების ქვეიმპულსები კავშირს კრავენ და რაღაცნაირად იზიდავენ მისთვის საჭირო საგნებს, მოვლენებს, სისტემებს; ავტომატურ რეჟიმში ახორციელებენ მათ დახარისხებას და ახალი სისტემების აგებას... თავად ცნობიერებისთვის ეს ხშირად დაფარულია (ამ მოვლენის ახსნაზეც შეგვიძლია ვიფიქროთ...). არსებობს გონების უეცარი განათება (ინსაიტი). მისი მიზეზი ზოგადკანონზომიერებით გამოვლინებებში უნდა ვეძებოთ...

***

ბევრჯერ, ჩვენი გრძნობების და ემოციების გამოხატვა-გადმოცემას, კიდევ დამატებითი გრძნობის – ინტუიციის საშუალებით ვცდილობთ...

***

ნუ შეგეშინდებათ, თუ „უცნაური“ აზრი დაგებადებათ; მიჰყევით ინტუიციას, – საღი აზრი, ურთულესი ლაბირინთებიდანაც კი, გამოსასვლელს იპოვის...

***

ფსიქომატრამვირებელ ზემოქმედებათა გავლენით, რატომღაც, ადამიანი ზეშთაგონებულ მდგომარეობაში გადადის (გა-

დაისრთლება) და ინტუიციური არხები ეხსნება. ეს ადამიანის ნების გარეშე ხდება.

***

ბედისწერა არათუ ჩვენ გვითვალთვალებს, ჩვენც ვუთვალთვალებთ მას...

***

ადამიანების მისწრაფებებში ქრის ბედისწერის სიო...

***

ინტუიცია ზოგად განსაზღვრულობათა გამონაშუქია...

***

ინტუიციით მოძრაობა აზროვნების უმაღლესი ფორმაა...

***

ზოგჯერ, ჩვენი ინტუიციის გამონაშუქი ბედისწერას ჩვენსავე ჩრდილში აქცევს...

***

ინტუიციური აზროვნების განსაზღვრისას ან განმარტებისას, ყოველთვის დაგვჭირდება სიტყვა „რატომღაც“.

***

ადამიანის ნებაში ბედისწერითი ელემენტები ყოველთვის არის.

***

სრულიად ასახვაში ვიმყოფებით საკუთარ ბედისწერასთან.

# მშვენიერება, სილამაზე, სიყვარული, ბედნიერება

***

სიყვარულის კეთილხმიანობა გვანებივრებს, გვზრდის, სილამაზით გვაჯილდოებს; ადამიანურ არსებად გვაყალიბებს; სიძულვილით სავსე სამყაროში სივრცეებს გვითავისუფლებს; აუტანელ ტანჯვას ასატანს ხდის; გმირობის ფრთებს გვასხამს; ერთგულებას, თავდადებას, კაცთმოყვარეობას გვასწავლის და, საბოლოოდ, მარადისობაში გარდასულთ უზენაესი სიყვარულის გვირგვინს გვადგამს.

***

ბედნიერება მშვენიერი ფრთოსანი ფრინველია, რომელიც მუდამ ჰორიზონტისაკენ მიფრინავს...

***

მშვენიერი – ადამიანი უფლის სახეშია. წინააღმდეგ ამისა, იგი სამყაროს მნგრეველ-გამანადგურებელი ძალა იქნებოდა მხოლოდ.

***

სიყვარული ჩვენს მიერ ამ გრძნობის სხვადასხვა სუბსტანციაში გაშლა-გასხივოსნებაა, რომელიც უკუმოქმედებით ამოკრებისას, სიცოცხლის გაგრძელებას – გაშლა-გასხივოსნებას განაპირობებს...

***

მართალია, სიყვარულის საზღვრები უკიდეგანოა, მაგრამ, ისიც კი, მომჭირნეობით გამოიყენე, დაკვირვებით გაანაწილე და ცხოვრების თავდაღმართში საგზლადაც შემოინახე.

***

სიყვარული სუფთა, კრისტალური სახით არსად მოიპოვება. როგორც დანარჩენი ადამიანური გრძნობები, იგი ჰიბრიდული პროდუქტია. დასრულებული სახით ის მხოლოდ უფალშია მოცემული.

***

ადამიანმა, რომელმაც გამოსცადა ღვთით მონიჭებული „სიყვარული" – მშობლების, შვილის, სატრფოს, უახლოესი ადამიანების – სამშობლოს სიყვარული, არაფრის ფასად არ უნდა დათმოს ის...

# სიბრძნე, ფილოსოფია, ლოგიკა

***

ფილოსოფიური მიმდინარეობები, სინამდვილეში, ერთი ხის განშტოებებია. ნაყოფი მუდამ უცვლელია... ამ ხის მასაზრდოებელი კი უფლისგან დაშვებული სიბრძნეა.

***

ზოგიერთი სიბრძნე წამიერი გამონათების – ექსპოზიციის შედეგია, ზოგი – ადამიანური პრაგმატიზმით გაჟღენთილი, ზოგი – მკვეთრად ინდივიდუალური – სუბიექტურობის ნიშნით აღბეჭდილი (დადაღულ-დაშტამპული)...

***

ბრძენთა და ფილოსოფოსთა ნააზრევი მდორე – მარგინალურ ხაზად მიჰყვება სწრაფი ტემპით დაწერილ კაცობრიობის ისტორიას...

***

სიბრძნე ერთია, მისი სხვადასხვანაირად წამკითხველი – მრავალი.

***

ფილოსოფიურ და ლიტერატურულ მიმდინარეობებს რომ მიჰყვე, შენს აზრს ვერ გაატარებ – ან მოიწამლები, ან დაითრგუნები... ამიტომ რაც გაბადია (თუ გაბადია) შენი ნიჭი, უნარი,

შთაგონება, ზე და ქვე გრძნობები უნდა გამოიყენო – შეუპოვრობით, გაბედულად გადადგა ნაბიჯი და შექმნა საკუთარი – მიმზიდველი და საჭირო პროდუქტი, რომლითაც დააინტერესებ თანამედროვე მკითხველს და, ასევე, ის გამოსადეგი იქნება დროში სამოგზაუროდ.

***

სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ!

ფილოსოფოსთა (მჭვრეტელთა) და მეცნიერთა (მჩხრეკელთა) საზოგადოების ძალისხმევა სამყაროს ვერ ცვლის...

***

ყოველგვარ ფილოსოფიას, ხელოვნებას და მათ მიმდინარეობებს თავიანთი ჩარჩოები აქვთ მოძებნილი, სხვანაირად, ჰაერში მოფარფატე ღრუბელს დაემსგავსებოდნენ და აზრის კონცენტრაციას ვერ მოახერხებდნენ...

***

მტკიცებულებებში, ზოგჯერ, ყველაფერი მოწესრიგებულია და დიდი ლოგიკური ჯაჭვით არის ასხმული, თუმცა რეალურობა სხვა რელსზე დგას და სადღაც მიექანება; ამაზე დასაფიქსირებლად და ამის აღსაქმელად კი დრო არ გვყოფნის...

***

შედეგი მიზეზს ხსნის... ანუ შედეგი ხდება მოცემულობა, რომელიც მიზეზს განსაზღვრავს და მისი ახსნის საშუალებაცაა. ფაქტები, ხშირად, სწორედ ამას გვიდასტურებენ...

ჩრდილოეთში მობინადრე ცხოველების ბეწვი ზაფხულში ფერადია, ხოლო ზამთარში თეთრი. ეს ამ სახეობის, ამ ადგილას შეგუების და ასახვის შედეგია, – ფერს, სითეთრეს ზამთარი – შედეგი განსაზღვრავს, ისევე, როგორც ფერადს – ზაფხული ...მაშასადამე, ჯერ არის ბუნების გადაწყვეტილება, როგორც შედეგი, შემდეგ მიზეზები... ეს შეეხება, შედეგის და მიზეზის ერთმანეთით განსაზღვრულობას, ხოლო მათ შორის დროითი დამოკიდებულება სრულიად ბუნდოვანი და განუსაზღვრელია...

ბავშვი იბადება უსუსური, ვერ დადის, ვერ იხედება, დამოუკიდებლად ვერ იკვებება, მაშინ, როცა ცხოველის ნაშიერი, უმთავრეს შემთხვევაში, დაბადებისთანავე ფეხზე დგას და დამოუკიდებლად გადაადგილდება.

ადამიანის, როგორც მაღალგანვითარებული არსების, ქვეყნიერების ბატონ-პატრონად მოვლინებამ, ადამიანის თავის ტვინის განვითარების და მომწიფების ბიოლოგიური დრო და რითმი სხვა არსებებისგან სრულიად განსხვავებულად ასახა... ადამიანის შემთხვევაში, შედეგია მზა სოციალური გარემო, რომელსაც შეუძლია ბავშვზე იზრუნოს, ხოლო მიზეზი ადამიანის ნაშიერის უსუსურობაა. ეს და სხვა შედეგ-მიზეზები ადამიანურ ფენომენებს თავისებურად ხსნიან...

***

არსებობს აღიარებული, გენიალური, მხარდაჭერილი, ლოგიკურ-ჭეშმარიტი და ჭეშმარიტი აზრები:

აღიარებული – ცხოვრებისეული, მსგავსი შინაარსებიდან და მოსაზრებებიდან გამომდინარე: სხარტი, მომცველობითი,

დახვეწილი, ლაკონური, ორიგინალურ-პოპულარული გამონათქვამები.

გენიალური – გენიალური მიგნებები

მხარდაჭერილი – ეპოქალური აზროვნებიდან გამომდინარე – ლიტერატურული, მხატვრული, სახელოვნებო სკოლების, შედარებით მცირე საზოგადოებების და მიმდინარეობების იდეები, შეხედულებები და თეორიები; კიდევ უფრო დიდი საზოგადოებრივი მასების, სახელმწიფოს, ქვეყნების მასაზრდობელი იდეოლოგია (მათი ხელოვნური გაჟღენთვა მაგალითად„ ისტორიული მატერიალიზმით“, „დიალექტიკური მატერიალიზმით“, „კომუნიზმით“ „კოსმოპოლიტიზმით“ და ა. შ. იდეებით, რაც დროებითიათია).

ლოგიკურ-ჭეშმარიტი – მოვლენების, ფენომენების მეცნიერული ახსნა და დასაბუთება: სხვადასხვა მოვლენებს შორის კავშირების, დამოკიდებულებების, კანონზომიერებების ზუსტი ახსნა-გაშიფვრა, რაც უსათუოა და ეჭვს არ იწვევს.

ჭეშმარიტი აზრი – რომელიც მხოლოდ უფლის განზომილებაში იკითხება...

# სიკეთე, ქველმოქმედება, სათნოება

***

სიკეთე, რომელსაც ბოროტებად გადაქცევის შანსი გააჩნია, სიკეთე არაა...

***

სიკეთის ნაყოფი ყოველთვის სიკეთე არაა; ჩადენილმა გაუცნობიერებელმა სიკეთემ ბევრჯერ დაგვანახა თავისი ურჩხულებრივი სახე (ამ მაგალითებით სავსეა კაცობრიობის ისტორია); რაგინდ საკვირველიც იყოს, ვიტყოდი: ჩადენილმა ბოროტებამ, თავისი შემზარავი სახის წარმოდგენისას, ადამიანებს, მასებს შეიძლება მისი საშინელი სახე განაცდევინოს და აქედან გაკეთებული დასკვნების გამო, კეთილგონიერებისაკენ და, შესაბამისად, სიკეთის ჩადენისაკენ უბიძგოს... ამიტომ ნურასოდეს დავიიმედებთ თავს, რომ სიკეთის ჩადენით ადამიანური ვალი მოვიხადეთ. მხოლოდ უფალია ის, ვინც ზუსტად იცის ვის და როდის მიაგოს სიკეთე.

***

ზოგიერთ ადამიანს არ აქვს უნარი, ღირსეულად უპასუხოს ქველმოქმედებას, ზოგს – უნარი, – საერთოდ გაიგოს ის.

***

სადღაც წამადგებაო სიკეთე – რა, განა ცუდია თუნდაც ამ მოტივით სიკეთის თესვა? – დე იყოს ასე! ფიქრი – სადღაც წამადგებაო სიკეთე, ეს უკვე უფლის აღიარებაა.

***

თუ საკუთარი სიამოვნებისათვის ჩავდივარ სიკეთეს, ამ სია-მოვნებისათვის უნდა მედავონ? დე, იყოს უდიდესი ეგოიზმი და ანგარებაც (უტილიტარული ეთიკის წარმომადგენელთა თვალ-საზრისით); გაივსოს ქვეყანიერება ასეთი ეგოიზმის მაგალითებით!..

***

ილაპარაკო და იმსჯელო სიკეთეზე, როგორც „გონივრული ეგოიზმით“ ნაკვებზე და ამით ნაკარნახევზე მაშინ, როდესაც მან ნაყოფი გამოიღო, ყველაზე დიდი ეგოიზმი და ულმერთობაა...

***

არ თქვა, რომ მეზობლის სიკეთე შენი სიკეთე არ არის, ან მისი ქონება შენი ქონება არ არის... ჩააგონე შენს თავს, რომ სხვისი ქონება შენი ქონებაცაა. არ უნდა შეგრცხვეს, როცა დადგება მომენტი და დაინახავ, რომ მეზობლის ქონება, წარმატება, თურმე, შენთვისაც ყოფილა სასიკეთო.

***

თესე სიკეთე და იმედი ისე, რომ არ „გაძარცვო“ სხვები შენი ზედმეტი ღონისძიებებით...

***

ნუ იქნები ზედმეტად სათნო და მოწიწებული, სჯობს – იყო სამართლიანი.

# იდეა და იდეოლოგია

***

იდეა – იარაღია, რითაც რაიმეზე მუშაობას ვაპირებთ, არათუ ეს, ზოგჯერ თავად ადამიანია იარაღი, რომლითაც იდეა მუშაობს.

***

იდეოლოგიას ერთი ცუდი თვისება აქვს – როცა იზრდება, ფუტუროვდება და ადვილად იმსხვრევა...

***

დღევანდელ ქართულ საზოგადოებას აქვს შანსი, იხილოს მომაკვდავი პოლიტიკური იდეოლოგია და მათ წარმომადგენელთა, არამარტო, იდეოლოგიური კრიზისი, არამედ ფიზიკური განლევა-გადაგვარების უცნაური კანონზომიერება, რომელიც ტელევიზიის ეკრანებიდან თვალნათლივ სჭვივის.

ახლა კეთილგონიერთათვის გასაგებია: ისინი შეძლებდნენ ფენიქსივით აღდგომას იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ თავში ადამიანური განსჯისა და გონიერების შესაძლებლობებს ბოლომდე არ ამოწურავდნენ.

***

მთავარი არსის ძებნაში ადამიანები ათასი ჯურის „იდეოლოგ-ფანატიკებს" გადაეყრებიან ხოლმე და აედევნებიან მათ,

თუმცა შუა გზაში ხვდებიან, ეს მათი გზა რომ არაა. ზოგი ახერხებს მოწყდეს ამ ავანტურისტებს და მეტი გამოცდილებით აგრძელებს შეწყვეტილი გზის ძიებას.

***

იდეოლოგიის შემქმნელთ ინტუიცია სწორად განვითარებული არ აქვთ. ისინი ამ იდეოლოგიით გარკვეული ხნით მართავენ მასებს, რომელთა ინტუიცია, საბოლოო ჯამში, ამ მოძრაობის საწინააღმდეგო მოძრაობას აღძრავს.

***

საკითხავია, იდეოლოგიის ავტორები და მქადაგებლები რატომ ხდებიან არაადექვატურები თავიანთი „ნამოღვაწარის" მიმართ?..

***

სწრაფვა იდეებისადმი, ხშირად, ადამიანს მის მორჩილებად უზის....

***

ფანტაზიებით დახუნძლული, იდეების ატაცებისაკენ მიდრეკილი ხალხთა მასა დროებით თუ ახერხებს დაშოშმინებას; დაუდგრომელი – მშფოთვარე სული ახალ-ახალ იდეებს იკრებს და, რაც ყველაზე საოცარია, თაობათა ცვლის სპირალურ ჯაჭვში ერთსადაიმავე შეცდომებს გამოცდილებად არ იღებს..

***

„იდეად“ ქცეული შურისძიება გადამდებია და ატომურ ენ-ერგიაზე მეტი ძალა აქვს...

***

ახალი იდეების – შეხედულებების წარმოშობას აზროვნების სივიწროვე-სიმწირე კი არ უშლის ხელს, არამედ გაუბედაობა. მოაზროვნეები უფრო თამამად ბედავენ ისეთ საკითხებზე მსჯელობას, რომელიც სადღაც, ოდესღაც გაჟღერებული იყო ცნობილი ადამიანების შეხედულებებში. თუმცა, აზროვნებისას და მსჯელობისას მოაზროვნე ხშირად აღმოჩნდება აზროვნების ოკეანის ღრმულებში და იძულებული ხდება დამოუკიდებლად გადალახოს ის...

# ქალი და მამაკაცი

***

ქალური საწყისი სიყვარულის საყოველთაო, გამაერთიანებელ, გამასხივოსნებელ ფონს ქმნის...

***

მამაკაცების სიძლიერეს ვაღიარებ და პატივს ვცემ. ყველა ქალის სურვილს – გაუტოლდეს მამაკაცებს – მივესალმები.

***

ძლიერი ქალები ყოველთვის ღირსეულ პარტნიორობას უწევდნენ მამაკაცებს, იდგნენ მათ გვერდით, ზრდიდნენ შვილებს, უძღვებოდნენ ოჯახს და ახლობლებს, ქმნიდნენ მატერიალურ დოვლათს, აქტიურად მონაწილეობდნენ სულიერ საგანძურთა შექმნაში, სახელმწიფოს მართვაში.

სუსტი ქალები თავად ღირსეულ ქმრებსაც ვერ უწევდნენ პარტნიორობას, ავხორცობდნენ, ადვილად ებმებოდნენ მახეში. მათ იყენებდნენ სხვადასხვა სიბინძურის აღსასრულებლად.

ასეა დღესაც, ისინი ადვილად ხვდებიან საცდურებში და მათთვის „სპეციალურად" დადგმულ ბადეებში. ზოგჯერ, ინფანტილური აზროვნებისა და ზედაპირულობის გამო, სრულიად გაუცნობიერებლად ხდებიან დამღუპველი იდეოლოგიის მედროშეები, რითაც წინააღმდეგობაში მოდიან თავად საკუთარი პერსონასთანაც, – ბუნებისაგან მინიჭებული კეთილ-

შობილების, ჰუმანურობისა და სათნოების ნებაყოფლობითი უგულვებელყოფის გამო...

***

ყველაზე ჭკვიანი ქალი ის არის, ვინც მამაკაცს რაც მას სურს, იმას აკეთებინებს, ხოლო მამაკაცს ჰგონია იმას აკეთებს, რაც თავად სურს.

***

ზოგიერთ მამაკაცს არა აქვს სურვილი ქალის გონიერებას ჩასწვდეს, მით უფრო, აღიაროს იგი.

***

მამაკაცის გონებრივი და ფიზიკური სიძლიერე, ქალური სინაზე, სილამაზე, დედობრივი სიყვარული და სხვა მონაცემები თანაბარმნიშვნელოვანია სიცოცხლის მთავარ არსში და დანიშნულებაში.

***

ქალისადმი მამაკაცის სიყვარულში, თუნდაც თავგანწირულში, ყოველთვის დევს მისი პატივმოყვარეობა.

***

მამაკაცის ფიზიკური და გონებრივი სიძლიერე გაწონასწორებულობას და დარეგულირებას საჭიროებს, რასაც ჭკვიანი ქალები კარგად ახერხებენ.

***

ატომურმა საუკუნემ, უპირველესად, „დაბომბა“ მამაკაცური გენი, ახალმა საუკუნემ შვა გამრავლების არატრადიციული ფორმა. ეს დაიშვა! – თუ რატომ, ამაზე პასუხს მომავალში ვიპოვით; ჩვენი ღელვა და ძალისხმევა ამ შემთხვევაში, ამაოა... ქალური საწყისი აყვავებას განიცდის თავად ბუნების გადაწყვეტილების გამო...

***

აგრესიით და ბარბაროსობით გამოწვეული მსოფლიო კატაკლიზმების შემდეგ, ადამიანის ინტუიციური აზროვნება გაიზარდა, რომელშიც ქალის როლი განსაკუთრებით დიდია.

***

ყოველი კაცი ბედნიერია, როცა ცოლი სამზარეულოში ტრიალებს, ქალი – როცა ქმარი საწოვარზეა.

***

როდესაც ქალი ახერხებს, ჰყავდეს ოჯახი წესრიგში, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც იყოს აქტიური, უფრო მეტიც, შეუძლია თავის ორბიტაზე ჰყავდეს ადამიანები, საზოგადოება, „თავად სამყარო“, აქ, აუცილებლად, უნდა ვიფიქროთ მის დედობრივ – ადამიანთა დასაბამის მიმცემ და მამაკაცური თვისებებისა და უნარების ჰარმონიულ შერწყმაზე. ასევე ხელოვნებაში და ჰუმანიტარულ სფეროებში დასაქმებულ მამაკაცებში, უსათუოდ მოიპოვება – მშვენიერების აღქმის, სათნოების, ადამიანთა სიყვარულის, თავისუფლება-თანასწორუფლებიანობის, ომისა და

ნგრევის საწინააღმდეგო – უაღრესად ჰუმანური – ქალური საწყისები.

ქალები – ვიწრო, ჩაკეტილი აზროვნებით, წვრილმანებისა და საკუთარი ჰიგიენისადმი ზედმეტად მიდრეკილნი, ჩაცმაზე და მოდაზე ორიენტირებულნი, საკაცობრიო თემებისადმი, განზოგადებებისადმი ნაკლებად მიდრეკილნი – არიან სუფთა ქალური ბუნების მქონენი.

მამაკაცები – ნგრევისა და დესტრუქციისადმი, შეიარაღება-ომების და აგრესიისადმი მიდრეკილნი – არიან სუფთა მამაკაცური საწყისის მქონენი.

***

ფემინიზმი ჩემში ტოვებს ასეთ ასოციაციას: შეედავე, – მეტი რომ დაგრჩეს.

***

ემანსიპაცია, – დღევანდელი თვალსაზრისით, – ქალისა და მამაკაცის გადაგვარებას გულისხმობს.

# სივრცის შევსების ფენომენი ბიზნესში და აზროვნებაში

ამ პრობლემას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ გაძღომა-გაუმაძღრობის პრობლემა, არა მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით. სხვა რითი უნდა აიხსნას, დღეს, საქართველოში, ერთი და იგივე ცნობილ ფირმათა მიერ, – თავისი ან შენიღბული სახელწოდებით, ერთსადაიმავე ადგილზე – ერთი დანიშნულების ბიზნეს ობიექტების ჩამწკრივება, რომელთაგან ზოგი მოგებაზე სულაც არ მუშაობს. რას ნიშნავს ეს? – თუ არა ადგილის შევსებას (ამოვსებას), იმისათვის, რომ სხვას არ დარჩეს სივრცე არსებობისა...

არის კიდევ ტენდენცია: ერთ სფეროში დასაქმებულებს, რატომღაც, მიაჩნიათ ეს სფერო შემოსაზღვრულად და დაკავებულად; ვერ ეგუებიან მათ სივრცეში ახალი სახის გამოჩენას, რაგინდ კომპეტენტური იყოს იგი; აღიქვამენ როგორც უცხო სხეულს და განწყობილნი არიან მის მოსაშორებლად (ეს კულტურულად, სინამდვილეში, მიცვივდებიან და დაუზოგავად „კორტნიან" მას).

ეს კიდევ არაფერი, საგანგაშო მდგომარეობაა საინფორმაციო სივრცეში, სადაც მიუღებელი, მაზომბირებელი, ადამიანის ფსიქიკის დამამახინჯებელი, აკრძალული, ამორალური, მოძალადეობრივი მეთოდებით ხდება აზროვნებითი სივრცის ამ-

ოვსება(რეკლამები, გადაცემების ფორმატები, წაბილწული – სიძულვილის ენა პრესაში და ტელევიზიებში, რამაც, ამ ბოლო დროს, შეჯიბრებითობის ხასიათი მიიღო). სავალალოდ, საზოგადოების გაუცნობიერებლობისა თუ ინდიფერენტულობის გამო, მისი გაანალიზება და ჯეროვანი შეფასება დღემდე არ მოხერხდა, რათა მოხდეს საზოგადოებრივი ამბოხი ამ „ძალადობის“ წინააღმდეგ.

აზროვნებითი სივრცის დაპყრობა – ჩაგვრის, დამონების, ადამიანის არარად ქცევის – ახალი, აპრობირებული მეთოდია და უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიების დაპყრობაზე ნაკლები აგრესია და დანაშაული არ არის...

# ჩაკეტილი (შელახული) სიცოცხლე – ბიოლოგიური და სოციალური ასაკის კრიზისი

ზოგჯერ ადამიანი საკუთარი „სიმშვიდისათვის“ სწირავს სხვა ადამიანების სიმშვიდეს... მას სჯერა, ან იძულებულია დაიჯეროს შეთხზული ამბები, მითები, – ყოველგვარ უსამართლობაზე დახუჭოს თვალები, ოღონდაც იყოს მშვიდად ან ეგულებოდეს იგი თეორიაში.

რატომ გვსურს გამუდმებულად გვატყუებდნენ – ვიყოთ ილუზიაში, რითაც ბოროტებას ვაკანონებთ და არც სიმშვიდე გაგვაჩნია?

მოაზროვნეებმა, ფილოსოფოსებმა, რელიგიამ, რომლებიც დიდი ხანია ბჭობენ და ბრძნობენ, თავიანთი ახლართულ-დახლართული ქარაგმებით, ჯერ კიდევ, ვერ გააგებინა ხალხს, რისი თქმა უნდათ, ვერ გამოკვებეს და ვერ დაარწყულეს ისინი (ამასობაში, დანაყრების და დარწყულების მსურველი მრავალი თაობა მივიღეთ). სამაგიეროდ დღევანდელი მსოფლიოს „გამომკვებავ“ ადამიანთა ვიწრო ჯგუფს აქვს განცდა, რომ უნდა მართოს მსოფლიო სწრაფი შედეგების მისაღწევი საშუალებებით...

„სწრაფი კვება“ – აი, ადამიანების დაკმაყოფილების და დაწყნარების ეფექტური მეთოდი...

დღევანდელი აზროვნება ჯანსაღი სიცოცხლის ტენდენციას

არ შეიცავს... ასეთ რთულ პირობებში ეს ჯგუფი ცდილობს, ადამიანებს (ძირითადად ახალ თაობას) შესაბამისი ფორმა მისცეს: თვალი აუხვიოს, დააბრმავოს – მისაღები, გამოსადეგარი ფორმა მისცეს, მაგრამ ეს გაძნელდება – „კრიზისი" სახეზეა, რაზედაც შესაბამისი რეაქცია აუცილებლად იქნება...

ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ბიოლოგიური არსის დარღვევა (დეფექტი) და მისი შეუსაბამობა სიცოცხლის ტენდენციასთან, და ისიც, თუ რატომ გახდა ეს დარღვევა სტიმული მავანთათვის ეფექტურად „მართონ" ადამიანთა საზოგადოებები.

მე-20 ს-ის მეორე ნახევარში ატომური კატასტროფების შედეგად ადამიანის მთავარი ბიოლოგიური არსის მატარებელი გენეტიკური კოდი დაირღვა – დეფორმირდა, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა და ბოლო თაობებში გამოვლინდა კიდევაც მრავალნაირი დეგენერაციული ცვლილებების სახით. გარდა იმისა, რაც ამ ცვლილებებისგან მივიღეთ და ვიხილეთ, არავინ იცის, რას გამოიწვევს მომავალში... დღეს, გენეტიკური დარღვევები და მის მიერ გამოწვეული პათოლოგიები სრულიად შეუსწავლელია.

რას ნიშნავს ბიოლოგიური არსის შეუსაბამობა სიცოცხლის ტენდენციასთან?

მოვიყვანოთ ასეთი უხეში შედარება: თუ ქოლგის არსი არის წვიმისაგან თავდაცვა, მაგრამ მისი მფლობელი მას ვერ შლის ან დაემტვრა იგი, ცხადია, ქოლგის არსი ვერ განხორციელდება. ასევე შეცვლილი გენეტიკის მატარებელი სიცოცხლე ვერ განხორციელდება იმ არსით და დანიშნულებით, რაც ექნებო-

და მას გენეტიკური ცვლილების გარეშე. გენეტიკური კოდი დამზერს სიცოცხლეს – აკონტროლებს მას. იგი შედარებით სტაბილური მოცემულობაა. შეუსაბამო, სწრაფი და ინტენსიური ცვლილება დროში ადაპტირების საშუალებებს არ იძლევა და წარმოშობს შეუსაბამობას ძირითად სასიცოცხლო ტენდენციასთან (კანონზომიერი ცვლილებების ზღვრების დარღვევის პირობებში). ამ შეუსაბამო ცვლილებებმა უკვე იჩინა თავი...

ბიოლოგიური სისტემის დეფექტი – გენეტიკური დარღვევა, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილების მიხედვით, იძლევა პათოლოგიურ იმპულსებს, რომლებიც სასიცოცხლო იმპულსებს ფარავს, რაც გამომჟღავნდება თვითგანადგურების ინსტინქტის ამუშავებაში, როგორიცაა თვითმკვლელობა, გაუკუღმართებული სქესობრივი ლტოლვები, ფსიქიკური დარღვევები, სხვადასხვა სომატური დაავადებები და ა.შ. ასეთ შემთხვევებში ადამიანში სიკვდილის განწყობა სჭარბობს სიცოცხლის განწყობას. ამაზე მიუთითებს ფროიდი თავის ფსიქოანალიზში, როდესაც მსჯელობს დესტრუქციულ ლტოლვებზე, თუმცა შემდგომი ანალიზისთვის, იმდენი მეცნიერული ცოდნა გენეტიკის დარგში და სამწუხარო გამოცდილება ატომბირთვული კატასტროფებისა ხელთ არ ჰქონია, როგორიც გააჩნია დღევანდელ მეცნიერებას.

ადამიანის ფუნდამენტალური უფლება – მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა შელახულია და საკითხავია, რა უფლებებში აღვუდგენთ მათ შელახულ სიცოცლეს?

დღეს, მსოფლიოში ყოველმა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანმა გაიაზრა ატომბირთვული კატასტროფების საშინელება.

ამას დაემატა გარემოს დაბინძურება, ურბანული მოუწესრიგებლობის და სხვა გამაბინძურებელი ფაქტორები, რაც ადამიანის გაუცნობიერებელ მოქმედებას მოჰყვა დედამიწაზე. ამ კატასტროფების შედეგად დაზარალებულ ურიცხვ მასას, რომელსაც სიცოცხლის და გამრავლების უფლება ჩამოერთვა, სთავაზობენ ახალ სოციალურ როლს, რომელსაც გენდერულ ნორმებად უყენებენ ისედაც დაბნეულ მსოფლიო საზოგადოებას. ამ საზოგადოების მხრიდან დასტურის მიცემის შემთხვევაშიც კი, ეს ნორმები – საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციებს რომ თავი დავანებოთ – კიდევ უფრო არღვევს სიცოცხლის უფლებას და დეგენერაციის გზაზე აყენებს შთამომავლობას.

რა დგას ამ ყველაფრის უკან?

სიცოცხლის და გამრავლების უფლებაჩამორთმეულ ადამიანებს კიდევ რაში ემართლებიან, რა არის ეს უფლება, რომელსაც პირდებიან? მე შენ მოგცემ უფლებას, იქორწინო შენი სქესის ადამიანზე, იყოლიო „ოჯახი"... (სიცოცხლის ფუნდამენტური უფლების ჩამორთმევის და გადაგვარების ფასად?!..) და რაღაზე უნდა იდავო, რაღაზე უნდა შეაწუხო ვინმე?..

„მსოფლიოს მამებს" არავითარი ტრანსსექსუალები და მათი უფლებები არ ანაღვლებთ. ისინი დაინტერესებული არიან, დეგენერაციულ შთამომავლობას მიუჩინონ „სათანადო" ადგილი, რომელიც მათ სულაც არ დასჭირდებოდათ, კატასტროფის ალში რომ არ ჩაეხშოთ მათი ძირითადი უფლება – ჯანსაღი სიცოცხლე და შთამომავლობის ყოლის უფლება.

ამ „უფლების" გამომგონებლებს კიდევ აქვთ ქვეგანზრახვები. „უფლებებით აღჭურვილი" მასა მათ სჭირდებათ სამართა-

ვად, გამოსაყენებელ „მასალად“, რათა ისედაც დაბნეულ და გაუბედურებულ ადამიანებს საჭირო დროს, საჭირო ფორმა და მიმართულება მისცენ. პიროვნული იდენტიფიკაციის კრიზისის მქონე ახალგაზრდებს იყენებენ კამიკაძე რაზმების მჭედელი მამამთავრებიც. როგორც ცნობილია, იდენტიფიკაციის მოთხოვნილება (საზოგადოებრივი ასახვის მოთხოვნილება) ყველა ადამიანისთვის არის დამახასიათებელი და აქტუალურია გარკვეულ ასაკამდე. ეს მოთხოვნილება განსაკუთრებით მწვავეა და განიცდის კრიზისს გენეტიკური დარღვევებისას – ბიოლოგიური არსის შეუსაბამობისას სიცოცხლის ძირითად ტენდეციასთან. ამ შეუსაბამობის გამო, იდენტიფიკაციის კრიზისი უსათუოდ იწვევს ახალგაზრდის „ამბოხს“, რომელიც „ნებისმიერად“ შეიძლება წარიმართოს მიზანმიმართული მართვის და ხელმძღვანელობის წყალობით. ასეთი კრიზისის მქონე ადამიანებს მდინარესავით შეიძლება მისცე კალაპოტი – ააზვირთო, ააღელვო და ეს ენერგია გამოიყენო შენს სასარგებლოდ. აი, ამ საცდელ სიტუაციაში ჰყავთ „გონიერ მმართველებს“ უმცირესობათა მასა და იდენტიფიკაციის კრიზისის მქონე ახალგაზრდობა, რომელიც, სავარაუდოდ, თუ ასე გაგრძელდება, იქნება მომავალი უმრავლესობა...

რაც შეეხება ამ იდეოლოგიის „დამცველ-გამხმიანებლებს“ – სწრაფი კვების სტიმულებით წახალისებულ დაბნეულ ადამიანთა მეორე კასტას (არასამთავროებს ჟურნალისტების გარკვეულ მასას და ა. შ.), რომლებიც მთავარ მიზეზებში ვერ ერკვევიან ან სულაც არ აინტერესებთ და არ ანაღვლებთ, ამ სტიმულებით ისე აქვთ გონება დაბნელებული, „უფლებადამცველების“ სტა-

ტუსით გამოდიან ამ ადამიანების დასაცავად, რომელთაც ფუნდამენტალური უფლება კარგა ხანია ჩამორთმეული აქვთ... ნორმალურ საზოგადოებას დიდი ხანია აქვს სწორი რეფლექსია ამ მოვლენებზე და, მაინც, თავს ახვევენ მორიგ უბედურებას...

ყველაზე საინტერესოა, ამ ჩანაფიქრის მაორგანიზებელი ტვინი, თავად რა ფაზაში იმყოფება. იმედს ვიტოვებ და ოპტიმისტურად დავამთავრებ: არა მგონია სიცოცხლის გადარჩენა დედამიწაზე მხოლოდ ასეთი ადამიანების ამბიციაზე იყოს მინდობილი...

***

წარსულის უდიდესი ისტორიული გამოცდილების და მეცნიერთა მიერ ჩატარებული მრავალგზისი უზუსტესი და უტყუარი კვლევა-ძიებით მიღებულია შედეგი – ინცესტი, როგორც თაობათა დეგენერაციის მიზეზი.

საინტერესოა, რატომ საუბრობენ ევროპელი პოლიტიკოსები მასზე, როგორც გენდერულ ნორმაზე?

მეცნიერთა კომპეტენციის, მათი აზროვნების უცერემონიო ხელყოფასთან ერთად, კიდევ რასთან გვაქვს საქმე? დეგენერაცია, შობადობის ხელოვნური შემცირება და ბოლოს კასტრაცია? (როგორც ცნობილია თაგვებში ინცესტის შედეგად წმინდა ხაზების გამოყვანისას, დეგენერაციის გამოვლინებასთან ერთად, მე-8 თაობიდან შობადობა კატასტროფულად მცირდება და საბოლოოდ წყდება).

უმჯობესია, პათოლოგიური არსებები ხელოვნურად კი არ გამოვიყვანოთ, არამედ ეს „გამოყვანილი“ პათოლოგიური

არსებანი, რომლებიც ცალკეული ქვეყნების პარლამენტშია წარმოდგენილი, დროზე დაიბლოკოს და მათი აზროვნება გაანეიტრალოს კომპეტენტურმა აზროვნებამ. მათი „აზროვნება“ ხომ დაფინანსებულია... (თუ არა, მაშინ ჭკუაშეშლილობასთან გვაქვს საქმე...). ვინ არიან ისინი, ვინც ამაში იხდიან ფულს, ვინ არიან დამკვეთები?.. ამის გარკვევაა მთავარი საკითხი და ამოცანა, მანამ, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს, არ მოვლენ და მართლაც უცერემონიოდ არ გვეტყვიან: „დედამიწაზე ლიმიტი ამოწურულია, თქვენ ვერ წარმოშობთ შთამომავლობას – თქვენ ვერ გამრავლდებით“ და სათანადო კანონმდებლობითაც გაამყარებენ ამას...

აი, ამ ფორმულირების შენიღბული მცდელობაა ინცესტის ლეგალიზაცია ანუ დეგენერაციის დამკვიდრების აქტი – კიდევ ერთი დიდი დანაშაული კაცობრიობის წინაშე...

# ძალა, სიმართლე, სამართლიანობა

***

ვინ, თუ არა ადამიანმა, თავად უწყის, რომ ის, მოცემულ მომენტში, უსამართლობას ჩადის ან უსამართლოდ განსჯის. რომ არა ბნელი და ბოროტი ძალების თანადგომა, ცალკეული ადამიანი ისეთი თავდაჯერებულიც ვერ იქნება, რომ მარტომ უსამართლობა იქადაგოს ან ჩაიდინოს.

***

სამწუხაროა, რომ ხშირად ადამიანები სარგებლის გამო სიმართლის იგნორირებას ახდენენ.

***

ქონებრივი „გათანაბრების“ მოსურნე ადამიანებმა ვერა და ვერ ისწავლეს, რომ ძალა სიმდიდრის დაგროვებას ემსახურება და მისი ტოლფასია, და მაინც, ეძებენ სამართლიანობას მასში...

***

რაგინდ იდეალური წყობა ავაშენოთ, ძალას მაინც წაცდება ხელი უსამართლობისკენ.

***

როცა ადამიანი პატივს სცემს ძალას – ამართლებს ძალადობას, იგი ამ ძალადობის თავისებური მონაწილეცაა მანამ, ვიდრე ეს ძალა თავად მას არ შეეხება...

***

არის ადამიანების კატეგორია, რომელთაც აქვთ მოთხოვნილება – „შეუერთდნენ“ ძალას, წარმოსახვით მაინც, და იდენტიფიცირდნენ მასთან, სამართლიანობა კი ნაკლებად აინტერესებთ...

***

რაგინდ უსამართლო იყოს, ის რაც გვაწყობს, ხშირად გადაიქცევა სამართლიანად...

***

როცა ადამიანი განზრახ თვალს იბრმავებს და რაც არ არის, იმის „სჯერა“, ეს მის „მდიდარ ფანტაზიას“ მივაწეროთ თუ უსამართლობას?..

***

მნიშვნელოვანია არა ის, თუ ცალკეული კამიკაძე რას ფიქრობს, არამედ, რა იდეოლოგია აქვთ მათ მამამთავრებს...

***

წამრთმევს, დამწიოკებელს, სხვისი ქონების უკანონოდ მიმთვისებელს, მატერორებელ ხელისუფალს ზოგიერთი ადამიანი გმირად მიიჩნევს მანამ, ვიდრე შეძლებულებისთვის წასართმევი არ შემოელევათ და მოძალადე ამ ადამიანის საკუთრებაზე არ გადაინაცვლებს...

# ჭეშმარიტება

***

სამყარო ურთიერთასახვის განსახიერებული პროდუქტია. ყოველი აზრის დაძვრა – მის საპირისპირო, – მეორე აზრს გულისხმობს და მას შეიცავს. ამ ურთიერთობაში ისახება ჭეშმარიტება. ურთიერთქმედებაა სამყაროს ბრუნვის სტიმული; ამ განაწესს ყველა და ყველაფერი ექვემდებარება.

***

ყველა აზრი, მსჯელობა, რაც ოდესმე ჩაისახა-წარმოიშვა, მისი მოძრაობა-განვითარება-დაუსრულებლობა, ჭეშმარიტების დაუოკებელი ძიების წყურვილით – მიუწვდომელის წვდომის სურვილით იყო სტიმულირებული. იგი მოძრაობის მაპირობებელი უნივერსალური საშუალება-ხერხია.

***

ჭეშმარიტება ფორმაცვალებადი არ არის. მისით საყოველთაო გამსჭვალულობა და მუდმივობა მის მარადიულობაზე მეტყველებს.

***

ჭეშმარიტება ყოველთვის დაფარულია. იგი მხოლოდ გონების განათებით მიიღწევა.

***

ჭეშმარიტებას შესაფერის საყდარს ვერ აუგებ...

# შეხვედრები საკუთარ თავთან

***

არ მხიბლავს პირადი წარმატებები იმაზე მეტად, ვიდრე „გაადამიანურების“ გზაზე, ზოგადად, ადამიანის წარმატება. ფრთები მესხმება, როცა ამის მაგალითებს ვხედავ ცხოვრებაში.

***

ვაკოწიწებ, ვალამაზებ ჩემს ცხოვრებას, რათა გავძლო...

***

დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს აღვიქვამ, როგორც ღვთის ხატად და სიყვარულით მოვლინებულთ. და თუ რაიმე არ მომწონს და ვებრძვი მათში, ეს არის ყოველივე ის, რაც არ მომწონს და ვებრძვი საკუთარ თავშიც...

***

მინდა, ჩემს ირგვლივ რაც შეიძლება მეტ გაღიმებულ ადამიანს ვხედავდე. სამწუხაროა, რომ მათი უმრავლესობა საკუთარ ბედნიერებას ეწინააღმდეგება...

***

როდესაც წერას იწყებ, თავში ბევრი აზრი ტრიალებს – ირევა, იწყება ჭიდილი მათ შორის; ამ შეხლა-შემოხლისას უნდა შეიგრძნო ანგელოსის ფრთათა ჩუმი ფათქური. ეს ხმა აზრე-

ბის დალაგებისასაც უჩუმრად გასდევს ნაწარმოებს. მკითხველი უნდა გრძნობდეს ჩუმ მდინარებას სიტყვის ძალა-მადლისას, რომელიც მარტო შენგან არ მომდინარეობს...

***

ვერ ავხსნი, რას განვიცდი ადამიანებთან, ბუნებასთან, უფალთან ურთიერთობასა და დამოკიდებულებაში. ვხედავ და ვხვდები ერთს: ყოველდღიურად როგორ მაცალკავებენ ამ ყველაფრისგან...

***

ერთხელ, საკუთარ თავს დავუსვი კითხვა: რატომ ცდილობ ქვეყნიერების გადაკეთებას, ან როგორ მიაღწევ ამას, როცა ხარ ერთი უმნიშვნელო წერტილი, უფერული ხაზი უსასრულო სამყაროში; ძალადობა, ტირანია, ჩაგვრა, სნეულებები – თავისთავად არსებობენ, შენ ვერ შეცვლი ბუნებრივ კანონზომიერებებს და მაინც გაქვს პრეტენზია, შეცვალო ის?.. შენ მოგისაჯეს დგომა მოხაზულ წრეში, რომლიდანაც ვერანაირი მცდელობებით ვერ გამოხვალ... მეორე ხმამ მიპასუხა: ყველაფერი ხომ გაცხადებული არ არის; ადამიანი ამოუცნობი ფანომენია, არ ვიცით, თითოეულ ჩვენთაგანს რა მისია აკისრია ამ პირობით ყოფიერებაში...

ჩემთვის და ჩემნაირებისათვის აზროვნება და გონების წვალება სულის გადარჩენის საშუალებაა. ამდენად, მყოფნის ძალა, ვიაზროვნო ამდაგვარად... იმაში ცუდი რა არის, თუკი ქვეყანას – კაცობრიობას აზროვნების კონცენტრაციისაკენ მოუხმობ!?.

***

ამომავალი მზე, ჩემთვის, იწყება ჩვეულებრივი ადამიანიდან და მთავრდება ღვთაებრივ ადამიანთან.

***

არ მომწონდა ბრალი სხვასთან, მით უფრო საკუთარ თავში და თანდათან კრიტიკით განვეწყვე მის მიმართ. არ ვიცი მივაღწიე თუ არა, მაგრამ სხვა ადამიანების მიმართ ბრალიითი დამოკიდებულების და განწყობილების აღმოფხვრა ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია.

***

არ მეყო დრო, ცხოვრება უკეთესად გამეცნო...

***

რაგინდ ასაკი მომემატოს, ყოველთვის დავუშვებ შეცდომებს და ვერასოდეს ვიქნები უფალთან პირუთვნელი.

***

როგორი ადამიანი მომწონს? — ლაღი, საღი, თავისუფალი...

***

როცა გაუგებრობაში, წინააღმდეგობაში ან სიბინძურეში ვხვდებოდი, თავზევითა ძალას ვპოულობდი და ვაიძულებდი ამ მდგომარეობიდან გამოყვანას...

***

ცხოვრებაში ვიყავი ძლიერი და მებრძოლი, მაგრამ თავს არასდროს ვაძლევდი თავხედობის უფლებას.

***

არ ვაიძულებ თავს, ვიაზროვნო სხვათაგვარად...

***

აზრების მოკრებისას, მართალია, ვიძაბები, მაგრამ ტანჯვას არ განვიცდი, რადგან ამ პროცესს თან ახლავს იუმორიც...

***

მინდა, თავისუფალი მსვლელობა მივცე აზრებს, თუმცა არა ვარ დარწმუნებული, სად მიმიყვანს მსჯელობა... ზოგჯერ, ინტუიციას მივყვები – ვცდილობ, ყოველგვარი ნაცნობი მსჯელობა გამოვთიშო მისგან...

***

აზრებში სხვადასხვა თემები და საკითხები ერთმანეთისგან გამომდინარეობს, ერთი მეორეს ხსნის, ავსებს, ავრცობს, აყალიბებს...

***

ვერანაირ განსხვავებულ ნიჭს ჩემში ვერ ვამჩნევ, განსხვავებული სულისკვეთების გარდა...

***

მთელი ჩემი არსებით და წარმოსახვით, სიღარიბეში ვცხოვრობ...

***

ჩემი შინაგანი საუნთქვა – ტირილია, ადამიანთა მრავალ უბედურობათა გამო.

***

ყველა მოაზროვნეს, ადამიანური მოღვაწეობის გარიჟრაჟიდან დღემდე, ვაფასებ. მათ, შესაძლოა თავიანთი ადამიანური უძლურების გამო, ღმერთი ვერ იხილეს, თუმცა გაისარჯნენ, რათა კაცობრიობის სულიერ საგანძურში ერთი კენჭი მაინც ჩაეგდოთ, რითაც თავისი ადამიანური მისია თუ ბოლომდე ვერ ამოწურეს, შეეცადნენ გაეფართოებინათ, წინ წაეწიათ კაცობრიული აზროვნება.

## აგრესია, შური და ბრალი

***

რატომღაც, თავს ვარიდებთ ანალიზს, რომელიც აგრესიის და სისასტიკის გამოვლინების მიზეზებს სწორად ახსნიდა და მის ბნელ ხვეულებს გამოააშკარავებდა.

***

არაკეთილზომიერება ცოდვებს წარმოშობს, არაკეთილდამოკიდებულება – ბრალს...

***

ბრალის შინაარსები მის ფორმას განსაზღვრავენ...

***

ბრალის შეცნობადობა-გაანალიზება ცოდვებს აგვარიდებს.

***

ცოდვა ხილული დანაშაულია, მაშინ, როდესაც ბრალი – ამოსახეთქად გამზადებული ვულკანი, რომელიც არავინ იცის როდის, რად გადაიქცევა ან რამდენ ცოდვას ჩაადენინებს ადამიანს.

***

ბრალი და პათოლოგირი ვირუსმატარებლობა მსგავსია, ორივე მათგანი ოდესმე მანიფესტირდება...

***

ბრალის აღძვრა – გადაბრალება, თავის აქცეპტორულ-ნებადამრთველობითი მექანიზმებით, ფორმულირებული, დადასტურებული განაჩენია და გარკვეული ვექტორი გააჩნია...

***

ბრალს ადამიანი ნაკლებად აცნობიერებს და ძნელად მართავს. როცა ბრალი წარმოიშობა ადამიანში, ეს ნიშნავს რომ მას ვნებები მართავს.

***

ბრალს სამართლიანად ვუწოდეთ „ბრალის აღძვრის ტენდენცია“ და შევადარეთ ამოსახეთქად გამზადებულ ვულკანს. როცა ის გარეთ გამოდის, ბრალდებაა ან აგრესია.

***

ადამიანები დაატარებენ ბრალს და არ ახდენენ მის გაანალიზებას, თორემ ამდენი სიძულვილი არ დაგროვდებოდა. ადამიანი, ბრალის გაანალიზების შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, შეძლებდა მის განეიტრალებას – ზედმეტი დამძაბველი და დამაძაბუნებელი ბრალის თავიდან მოშორებას...

***

ისევე, როგორც სხვა ვნებების, ბრალის გაანალიზება „დაკმაყოფილებული“ ადამიანების მცირე ნაწილს თუ შეუძლია, მშიერ ადამიანებს ბრალის გაანალიზებას და სამართლიანობას ვერ მოთხოვ...

***

ბრალი თუ ადამიანში არ წარმოიშობა, ასეთი ადამიანი მკვდარია, ხოლო ბრალის გაანალიზების მდგომარეობაში ყოფნა უმაღლესი ადამიანის მახასიათებელია.

***

ბრალის გაანალიზებას და გათვითცნობიერებას სჭირდება შემდგარი ადამიანი, რომელიც მოვიდა ამ ქვეყნად, იცხოვრა, ადამიანურ პრიზმაში გარდატეხა ცხოვრება და სწორი მიმართულება მისცა საკუთარ ვნებებს.

***

ადამიანის მიერ ბრალის თავის თავში გაანალიზება - ღვთიური დაშვებაა.

***

საკვირველია, ზოგჯერ ვინაც შეგაქებს, არ დააყოვნებს და ბრალს აღძრავს შენს წინაშე ან გამალებული იწყებს სამარის გათხრას შენს ზურგს უკან...

***

დღევანდელმა ეპოქამ ბრალით შეპყრობილთა სახეები გაამრავალფეროვნა და ყველა სხვა, ადრინდელი ფორმები დაჩრდილა.

***

ბრალის ძებნა თავის თავში, მაგრამ სხვებში უფრო მეტად, – ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა...

***

რატომღაც, მტრის ხატის თანხლება და ბრალი მის მიმართ ადამიანს აგულიანებს, ბრძოლის უნარიანობას უყალიბებს, სტიმულატორის როლს თამაშობს...

***

ბრალის ანალიზი უმაღლესი კატეგორიის ადამიანის თვისებაა.

***

ძალადობის გამართლება, რეაგირების არ ქონა სხვათა დაწიოკებაზე, დატერორებაზე, წამებაზე, გარკვეულწილად, ეს – თანამონაწილეობაა მასში; ხოლო, გულში მჯიღების ცემა სხვისი ქონების უსამართლოდ წართმევაზე, ეს არის გაბოროტებული ადამიანების ბრალი შეძლებული ადამიანების მიმართ და მომეტებული სურვილი მათი დასჯისა...

***

ადამიანების დაუკმაყოფილებელი სურვილები ბრალის გადატანა-გადმოტანით კომპენსირდება...

***

ადამიანს თანდაყოლილ ინსტინქტებს თუ მოვაშორებთ, მისგან აღარაფერი დარჩება. აქ მთავარია, არა გათავისუფლება ინსტინქტებისაგან, ამ შემთხვევაში ბრალისაგან, არამედ, მისი

მომწიფება ისე, რომ გაიაზროს თავისი არსებაც და ბრალიც სათანადო ხარისხში, რაც მისცემს საშუალებას, მართოს ინსტინქტები და დაარეგულიროს ბრალი.

***

აგრესიის გატანა-გადატანა-გადაბრალება, საკუთარი ვნებების მიმართვა სხვა საგნის, მოვლენის ან პიროვნების მიმართ და ამ ხერხით „თითქოს“ საკუთარი პერსონის დაცვა-შემოსაზღვრა, ამავე დროს, ბოღმის ვნებისაგან გათავისუფლება და დაცლაა...

***

ზოგიერთ ადამიანს აქვს უკმაყოფილება შეძლებული ადამიანების და ახლობლების მიმართ, რომლებიც მას ოდესმე დაეხმარენ; ხშირად აღძრავენ ბრალს მხოლოდ იმის გამო, „რატომ მეტი არ“ მიიღეს მათგან. ისინი განუკითხავად ადანაშაულებენ მათ, უფრო მეტიც, უვითარდებათ ზიზღი და აუტანლობა ამ ადამიანების მიმართ; ზოგჯერ, როგორც „კვალის მიმცემნი“ მონაწილეობენ მათ დაყაჩაღებაში, რბევასა და დაწიოკებაში.

***

ბრალისაგან გათავისუფლება – სულის ცოდვის მარწუხებისაგან გათავისუფლების – უფალთან შერთვის ტოლფასია.

***

ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ შენს ცხოვრებაში შურის და ბრალის ადგილი არ დატოვო.

# მითი, მითოლოგია

***

მითი – კოლექტიური აზროვნების შემოქმედებაა, მისი მიზანი და დაკვეთაა, – მისგანაა ნაწარმოები, რომელსაც შემქმნელის წარმოდგენა-წარმოსახვებიც ერთვის თან...

***

მითოსის შექმნა ძალიან ხელსაყრელია მასების ნდობის მოსაპოვებლად და მათ სამართავად.

***

მითოლოგიურ ხანაში სამყაროს დამახინჯებული აღქმა და მოვლენებზე არასწორი წარმოდგენები ადამიანის საღი გონების გახსნას ნაკლებად ემსახურებოდა და იმდროინდელი გონების ჩაკეტილ სისტემაში დამატებით ქაოსს ქმნიდა.

***

ამირანის (პრომეთეს) მითში მისტერიულად გადმოცემულია ადამიანის უღმერთო მოქმედებათა ზღვარდადების აუცილებლობა. (აბსოლუტის მიერ განსაზღვრულად მოცემული...).

***

ამჟამად ჩვენ ვცხოვრობთ მითოლოგიური ამბების გამალებული შეთხზვის ერაში. ეს მითები მეტეორებივით სწრაფად ჩნდებიან და ქრებიან. ახალ-ახალი მითების მოზღვავების გამო,

მათ მოსახსენებლად და აღსანუსხად არავის სცალია, თუმცა ასახვის კანონები ადამიანის მოღვაწეობის აღსაწერად და სახე-სურათის დასაფიქსირებლად ყველაფერს ზედმიწევნით აღბეჭდავს...

***

მითოლოგიურმა სამყარომ ადამიანური ვნებები არაბუნებრივი ძალის მქონე გმირებში, ღმერთებსა და ნახევრადღმერთებში გადაიტანა და განახორციელა. ეს ფენომენი დღესაც წარმატებულად მუშაობს, როცა გმირს (ხშირად პოლიტიკოსებს) იმ ნიშნებს და თვისებებს მიაწერენ, რომლებიც სინამდვილეში მათ არ აქვთ.

# სხვადასხვა

***

„განსხვავებულად ყოფნის მოთხოვნილებას“ გონიერება სწორად ვერც მართავს და ვერც ასახავს...

***

ჩვენთვის უმჯობესია, მზე გავიაზროთ, როგორც სიცოცხლის წყარო და არა როგორც ატომბირთვული რეაქციების მასა...

***

აზრების კითხვისას მკითხველი თავად უნდა აყალიბებდეს კიდევ სხვა აზრებს – ეთანხმებოდეს, უარყოფდეს ან საეჭვოდ მიიჩნევდეს მოცემულ მსჯელობას.

***

დიდება – სხვისი კრიტიკით ან დამცირებით არ მოიპოვება. იგი დამოუკიდებელი გზით დადის.

***

როდესაც უპირისპირდები ტრადიციებს, აგინებ მშობლებს და ახლობლებს, „მიწიდან ამოთხრი“ წინაპრებს, საკუთარი თავის უძლურებას ვერასოდეს გადალახავ...

***

ყოველთვის ყველაფერი იმითვის კი არ ხდება, რომ ასეა საჭირო, არამედ, ზოგჯერ იმისთვისაც, რომ „ასე არ მოხდეს“...

***

უძრაობიდან, მდუმარებიდან, არარაობიდან აღმოცენებული ხმაური, ოდესღაც, თავისი განვითარების პიკს აღწევს;

ბოლოს, ტრიალ-ბზრიალით მორევში ეშვება და საღლაც მდუ-მარებაშივე უჩინარდება...

***

მთავარია სწორი ანალიზის უნარი, თორემ ფაქტები თავზე საყრელია.

***

კამიკაძეთა ლაშქრობებში თანამედროვე მსოფლიოს დანაშაუ-ლის კვალი ჩანს და ეს კაცობრიობის უდიდესი სირცხვილია.

***

მზადება სიკვდილისათვის – დიდი პასუხისმგებლობაა უფლისა და ადამიანების წინაშე.

***

ბიზნესი არის სფერო, რომელიც ადამიანისაგან მოითხოვს პიროვნულ სიმტკიცეს, შრომისმოყვარეობას, კომბინაციურ აზ-როვნებას, ურთიერთობის ხელოვნებას, პასუხისმგებლობას, და, რაც მთავარია, კეთილსინდისიერებას – მორალურ სისუფთავეს და კიდევ „რაღაცას", რომელიც განაპირობებს დიდ წარმატებებს.

***

ყოველგვარი ქაოსი, თავდაპირველი საწყისებისაკენ ლტოლ-ვა და ინსტინქტია, რომელიც, ეტყობა მართლაც, ჩადებუ-ლია ადამიანის მისწრაფებებში; თუმცა, ისტორიის გარდაუვა-ლი აუცილებლობა, ხშირად, ასეთი ქაოსის მომწესრიგებლად გვევლინება...

***

ფუტურისტული ნოვატორობა ხშირად კრახით მთავრდება, რადგან ბუნებისაგან გაუმართლებელი და შეუსაბამოა...

***

ამორალურ საზოგადოებაში, როცა ვერ ახდენ საღი აზრის გარჩევას და გადარჩენას, გასაკვირი არ არის – ყველა არხი, საიდანაც ჭუჭყი და ღვარცოფი მოედინება – გადაკეტო. როცა შეგნებულად კეტავ ცნობიერებას, ზრუნავ, აისხლიტო მაზომბირებელი, გამხრწნელ-გადამაგვარებელი-ხორცისა და სულის გამანადგურებელი ზემოქმედებანი; ზრუნავ იმისათვის, რომ შეინარჩუნო ზნეობრივი სახე; უარს ამბობ ამქვეყნიურ სიკეთეებზე და ხდები მარგინალი.

სიცოცხლის ხარისხი მისი გამართლების ხარისხს თუ არ შეესაბამება და მათ შორის უფსკრულია – გასაკვირი არ არის, ხელი აიღო ასეთ ცხოვრებაზე.

***

ის, რაც ძნელად მოსაპოვებელია ან მიუწვდომელია, ყოველთვის სასურველი არ არის.

***

გარკვეულწილად, ცხოვრებას ჩვენ კი არ ვირჩევთ, ის თავად გვირჩევს და გვაწესრიგებს, – მიგვიჩენს ჩვენ-ჩვენ ადგილს თავისი საჭიროების და მიზანშეწონილების მიხედვით.

***

საგანი იღებს იმ ფორმას და იძენს ისეთ შინაარსებს, როგორსაც ჩვენ ვანიჭებთ მას.

წიგნი დაიბეჭდა
„ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ“
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
მის: ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის ქ. №186
ტელ: 0431 23 45 54; 599 16 06 22